

შპს „ლაქტალის ჯორჯია“

ფინანსური ანგარიშგება და მმართველობის ანგარიშგება

2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით დასრულებული წლისთვის,

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნასთან ერთად

სარჩევი

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა	3
ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება	7
მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება	8
კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგება	9
ფულადი ნაკადების მოძრაობის ანგარიშგება	10
ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები	11

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

შპს “ლაქტალის ჯორჯიას” მფლობელებს

დასკვნა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე

მოსაზრება

ჩვენ ჩავატარეთ შპს ლაქტალის ჯორჯიას (შემდგომში კომპანია) ფინანსური ანგარიშგების აუდიტი, რომელიც შედგება 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მომზადებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებისგან, აღნიშნული თარიღით დამთავრებული წლის სრული შემოსავლის ანგარიშგების, საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგებისა და ფულადი ნაკადების ანგარიშგებისგან, ასევე ფინანსურ ანგარიშგებაზე დართული შენიშვნებისგან, მათ შორის, ყველა მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მოკლე მიმოხილვისგან.

ჩვენი აზრით, თანდართული ფინანსური ანგარიშგება, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით, სამართლიანად ასახავს შპს ლაქტალის ჯორჯიას ფინანსურ მდგომარეობას 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, აგრეთვე მისი საქმიანობის ფინანსურ შედეგებსა და ფულადი სახსრების მოძრაობას იმ წლისთვის, რომელიც დასრულდა მოცემული თარიღით, ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (შემდგომში ფასს) შესაბამისად.

მოსაზრების საფუძველი

აუდიტს წარმართავდით აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების (ასსების) შესაბამისად. ამ სტანდარტებით განსაზღვრული ჩვენი პასუხისმგებლობები დეტალურად აღწერილია ჩვენი დასკვნის - „აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე“ - ნაწილში. ჩვენ დამოუკიდებლობი ვართ კომპანიისგან ბუღალტერთა ეთიკის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს პროფესიონალი ბუღალტრების ეთიკის საერთაშორისო კოდექსის (მათ შორის დამოუკიდებლობის საერთაშორისო სტანდარტები) (ბესსს-ის კოდექსი) და იმ ეთიკური მოთხოვნების შესაბამისად, რომლებიც ეხება ჩვენ მიერ ჩატარებულ ფინანსური ანგარიშგების აუდიტს საქართველოს იურისდიქციაში; გარდა ამისა, შევასრულეთ ამ მოთხოვნებით და ბესსს-ის კოდექსით გათვალისწინებული სხვა ეთიკური ვალდებულებებიც. გვჯერა, რომ ჩვენ მიერ მოპოვებული აუდიტის მტკიცებულებები საკმარისი და შესაფერისია ჩვენი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად.

სხვა ინფორმაცია - მმართველობის ანგარიშგება

ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობას წარმოადგენს, მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელი პირების ზედამხედველობით, უზრუნველყოს სამეურნეო სუბიექტის საქმიანობის წარმართვა კანონმდებლობის შესაბამისად, მათ შორის, ისეთი კანონებისა და სხვა ნორმატიული აქტების დებულებების დაცვით,

რომლებიც ადგენს სამეურნეო სუბიექტის ფინანსურ ანგარიშგებაში და წლიურ ანგარიშში წარსადგენი თანხების ოდენობასა და გასამჟღავნებელ ინფორმაციას.

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონის (შემდგომში „კანონი“) მოთხოვნების შესაბამისად მმართველობის ანგარიშგების (საქმიანობის მიმოხილვის) მომზადებაზე, ასევე ისეთი შიდა კონტროლის დანერგვაზე და მათი საწამო პროცესში უწყვეტი ფუნქციონირების უზრუნველყოფაზე, რომელიც აუცილებელია თაღლითობისა თუ შეცდომებით გამოწვეული მცდარი ინფორმაციისგან თავისუფალი მმართველობის ანგარიშგების (საქმიანობის მიმოხილვის) მოსამზადებლად.

„კანონი“-ს შესაბამისად ჩვენ მოგვეთხოვება გამოვთქვათ ჩვენი მოსაზრება იმის შესახებ, შეესაბამება თუ არა მმართველობის ანგარიშგების შესაბამისი ნაწილი (საქმიანობის მიმოხილვა), შესაბამის მარეგულირებელ ნორმატიულ აქტებს და მოიცავს თუ არა ის კანონით მოთხოვნილ შესაბამის ინფორმაციას, ასევე თანხვედნილია თუ არა იმავე საანგარიშგებო პერიოდის ფინანსურ ანგარიშგებებთან.

ამ მიზნით ჩატარებული პროცედურები ეყრდნობა პროფესიულ მსჯელობას, რომელიც მოიცავს გამოკითხვას, დოკუმენტალურ შემოწმებას და ანალიზს, ასევე კანონის მოთხოვნებთან კომპანიის პროცედურების, პოლიტიკების და ანგარიშგებული ინფორმაციის შედარებას, წარმოდგენილი რაოდენობრივი და სხვა ინფორმაციის ურთიერთშედარებას, გადათვლასა და შეჯამებას.

თუ ჩვენ შესრულებულ სამუშაოზე დაყრდნობით დავასკვნით, რომ არსებითი უზუსტობა არსებობს ზემოაღნიშნულ მმართველობის ანგარიშგებაში (საქმიანობის მიმოხილვა), გვევალება ამ ფაქტის შესახებ ინფორმირება. ამასთან დაკავშირებით, ჩვენ არ აღმოგვიჩენია ისეთი საკითხი, რომლის შესახებაც აუცილებელი იქნებოდა ინფორმირება.

ჩვენი აზრით, აუდიტის მსვლელობისას შესრულებული სამუშაოს საფუძველზე, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით:

- მმართველობის ანგარიშგების შესაბამისი ნაწილი (საქმიანობის მიმოხილვა) შეესაბამება შესაბამის მარეგულირებელ ნორმატიულ აქტებს და მოიცავს კანონით მოთხოვნილ შესაბამის ინფორმაციას;
- მმართველობის ანგარიშგების შესაბამისი ნაწილი (საქმიანობის მიმოხილვა) თანხვედრაშია იმავე საანგარიშგებო პერიოდის ფინანსურ ანგარიშგებებთან.

ხელმძღვანელობისა და მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირთა პასუხისმგებლობა ფინანსურ ანგარიშგებაზე

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია თანდართული ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და სამართლიან წარდგენაზე ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად, ასევე შიდა კონტროლზე, რომელსაც იგი აუცილებლად მიიჩნევს ისეთი ფინანსური ანგარიშგების

მოსამზადებლად, რომელიც არ შეიცავს თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას.

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას ხელმძღვანელობას ევალება, შეაფასოს კომპანიის ფუნქციონირებადობის უნარი და, აუცილებლობის შემთხვევაში, ფინანსური ანგარიშგების შენიშვნებში განმარტოს საკითხები, რომლებიც დაკავშირებულია საწარმოს ფუნქციონირებადობასთან და ანგარიშგების საფუძვლად საწარმოს ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენებასთან, იმ შემთხვევის გარდა, როდესაც ხელმძღვანელობას განზრახული აქვს კომპანიის ლიკვიდაცია ან საქმიანობის შეწყვეტა, ან თუ არა აქვს სხვა რეალური არჩევანი, ასე რომ არ მოიქცეს.

მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელი პირები პასუხისმგებლები არიან კომპანიის ფინანსური ანგარიშგების მომზადებისა და წარდგენის პროცესის ზედამხედველობაზე.

აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე

ჩვენი მიზანია, მოვიპოვოთ დასაბუთებული რწმუნება იმის თაობაზე, მოცემული ფინანსური ანგარიშგება შეიცავს თუ არა თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას და შევადგინოთ აუდიტორის დასკვნა, რომელიც მოიცავს ჩვენს მოსაზრებას. დასაბუთებული რწმუნება მაღალი დონის რწმუნებაა, მაგრამ არ არის იმის გარანტია, რომ ასს-ების შესაბამისად ჩატარებული აუდიტი ყოველთვის გამოავლენს ნებისმიერ არსებით უზუსტობას, რომელიც არსებობს. უზუსტობები შეიძლება გამოწვეული იყოს თაღლითობით ან შეცდომით და არსებითად მიიჩნევა იმ შემთხვევაში, თუ გონივრულ ფარგლებში, მოსალოდნელია, რომ ისინი, ცალ-ცალკე ან ერთობლივად, გავლენას მოახდენს იმ მომხმარებლების ეკონომიკურ გადაწყვეტილებებზე, რომლებიც დაეყრდნობიან მოცემულ ფინანსურ ანგარიშგებას.

ასს-ების შესაბამისად აუდიტის ჩატარება ითვალისწინებს აუდიტორის მიერ პროფესიული განსჯის გამოყენებას და პროფესიული სკეპტიციზმის შენარჩუნებას აუდიტის პროცესში. გარდა ამისა, ჩვენ:

- ვადგენთ და ვაფასებთ თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ, ფინანსური ანგარიშგების არსებითი უზუსტობის რისკებს; ვგეგმავთ და ვატარებთ ამ რისკებზე რეაგირებისთვის გამიზნულ აუდიტის პროცედურებს და ვკრებთ ისეთ აუდიტის მტკიცებულებებს, რომლებიც საკმარისი და შესაფერისი იქნება ჩვენი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად. რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება თაღლითობით გამოწვეული არსებითი უზუსტობა უფრო მაღალია, ვიდრე რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება შეცდომით გამოწვეული უზუსტობა, რადგან თაღლითობა შეიძლება გულისხმობდეს ფარულ შეთანხმებას, გაყალბებას, ოპერაციების განზრახ გამოტოვებას, აუდიტორისთვის წინასწარგანზრახულად არასწორი ინფორმაციის მიწოდებას ან შიდა კონტროლის იგნორირებას;
- ჩვენ შევისწავლით აუდიტისთვის შესაფერის შიდა კონტროლის საშუალებებს, რათა დავგეგმოთ კონკრეტული გარემოებების შესაფერისი აუდიტის პროცედურები და არა იმ მიზნით, რომ მოსაზრება გამოვთქვათ კომპანიის შიდა კონტროლის ეფექტიანობაზე;

- ვაფასებთ ხელმძღვანელობის მიერ გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკის მიზანშეწონილობას, ხელმძღვანელობის მიერ განსაზღვრული სააღრიცხვო შეფასებების დასაბუთებულობასა და შესაბამისი ახსნა-განმარტებების მართებულობას;
- დასკვნა გამოგვაქვს ხელმძღვანელობის მიერ ანგარიშგების საფუძველად საწარმოს ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენების მიზანშეწონილობაზე, ხოლო მოპოვებულ აუდიტის მტკიცებულებებზე დაყრდნობით ვადგენთ, არსებობს თუ არა რაიმე მოვლენებთან ან პირობებთან დაკავშირებული არსებითი განუსაზღვრელობა, რაც მნიშვნელოვან ეჭვს გამოიწვევდა კომპანიის ფუნქციონირებადობის უნართან დაკავშირებით. თუ დავასკვნით, რომ არსებობს არსებითი განუსაზღვრელობა, გვევალება ჩვენს აუდიტორის დასკვნაში ყურადღების გამახვილება ფინანსური ანგარიშგების შესაბამის შენიშვნებზე, ან, თუ ამგვარი განმარტებითი შენიშვნები ადეკვატური არ არის - ჩვენი მოსაზრების მოდიფიცირება. ჩვენი დასკვნები ეყრდნობა აუდიტორის დასკვნის თარიღამდე მოპოვებულ აუდიტის მტკიცებულებებს. თუმცა, ამის შემდგომი მომავალი მოვლენების ან პირობების გავლენით შეიძლება კომპანია უკვე აღარ იყოს ფუნქციონირებადი საწარმო.
- ვაფასებთ ფინანსური ანგარიშგების წარდგენას მთლიანობაში, მის სტრუქტურასა და შინაარსს, მათ შორის, ახსნა-განმარტებებს და ასევე, ფინანსური ანგარიშგება უზრუნველყოფს თუ არა ფინანსური ანგარიშგების საფუძველად აღებული ოპერაციებისა და მოვლენების სამართლიან წარდგენას.

მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირებს, სხვასთან ერთად, ინფორმაციას ვაწვდით აუდიტის დაგეგმილი მასშტაბისა და ვადების, ასევე აუდიტის პროცესში წამოჭრილი მნიშვნელოვანი საკითხების, მათ შორის, შიდა კონტროლის სისტემაში გამოვლენილი მნიშვნელოვანი ნაკლოვანებების შესახებ.

ჩვენ გვჯერა, რომ ჩვენს მიერ მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებები საკმარისი და შესაფერისია ჩვენი აუდიტორული დასკვნის საფუძვლის შესაქმნელად.

დამოუკიდებელი აუდიტორის ამ დასკვნაში მოცემული აუდიტის შედეგებზე პასუხისმგებელია გარიგების პარტნიორი: გოჩა ჭოლოკავა (SARAS-A-374286).

ფი-ქეი-ეფ ჯორჯია (SARAS-F-798362)

11 აგვისტო 2025

თბილისი, საქართველო

- ვაფასებთ ხელმძღვანელობის მიერ გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკის მიზანშეწონილობას, ხელმძღვანელობის მიერ განსაზღვრული სააღრიცხვო შეფასებების დასაბუთებულობასა და შესაბამისი ახსნა-განმარტებების მართებულობას;
 - დასკვნა გამოგვაქვს ხელმძღვანელობის მიერ ანგარიშგების საფუძვლად საწარმოს ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენების მიზანშეწონილობაზე, ხოლო მოპოვებულ აუდიტის მტკიცებულებებზე დაყრდნობით ვადგენთ, არსებობს თუ არა რაიმე მოვლენებთან ან პირობებთან დაკავშირებული არსებითი განუსაზღვრელობა, რაც მნიშვნელოვან ეჭვს გამოიწვევდა კომპანიის ფუნქციონირებადობის უნართან დაკავშირებით. თუ დავასკვნით, რომ არსებობს არსებითი განუსაზღვრელობა, გვევალება ჩვენს აუდიტორის დასკვნაში ყურადღების გამახვილება ფინანსური ანგარიშგების შესაბამის შენიშვნებზე, ან, თუ ამგვარი განმარტებითი შენიშვნები ადეკვატური არ არის - ჩვენი მოსაზრების მოდიფიცირება. ჩვენი დასკვნები ეყრდნობა აუდიტორის დასკვნის თარიღამდე მოპოვებულ აუდიტის მტკიცებულებებს. თუმცა, ამის შემდგომი მომავალი მოვლენების ან პირობების გავლენით შეიძლება კომპანია უკვე აღარ იყოს ფუნქციონირებადი საწარმო.
 - ვაფასებთ ფინანსური ანგარიშგების წარდგენას მთლიანობაში, მის სტრუქტურასა და შინაარსს, მათ შორის, ახსნა-განმარტებებს და ასევე, ფინანსური ანგარიშგება უზრუნველყოფს თუ არა ფინანსური ანგარიშგების საფუძვლად აღებული ოპერაციებისა და მოვლენების სამართლიან წარდგენას.
- მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირებს, სხვასთან ერთად, ინფორმაციას ვაწვდით აუდიტის დაგეგმილი მასშტაბისა და ვადების, ასევე აუდიტის პროცესში წამოჭრილი მნიშვნელოვანი საკითხების, მათ შორის, შიდა კონტროლის სისტემაში გამოვლენილი მნიშვნელოვანი ნაკლოვანებების შესახებ.
- ჩვენ გვჯერა, რომ ჩვენს მიერ მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებები საკმარისი და შესაფერისია ჩვენი აუდიტორული დასკვნის საფუძვლის შესაქმნელად.

დამოუკიდებელი აუდიტორის ამ დასკვნაში მოცემული აუდიტის შედეგებზე პასუხისმგებელია გარიგების პარტნიორი: გოჩა ჭოლოკავა (SARAS-A-374286).

ფი-ქეი-ეფ ჯორჯია (SARAS-F-798362)

11 აგვისტო 2025

თბილისი, საქართველო



შპს „ლაქტალის ჯორჯია“
 ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება
 2024 წლის 31 დეკემბერი
 ქართულ ლარში

	შენიშვნა	31 დეკემბერი 2024	31 დეკემბერი 2023
აქტივები			
<i>გრძელვადიანი აქტივები</i>			
ძირითადი საშუალებები	5	2,023,574	2,290,015
აქტივი გამოყენების უფლებით		153,983	43,666
არამატერიალური აქტივები		7,340	10,238
		2,184,897	2,343,919
<i>მიმდინარე აქტივები</i>			
მარაგები	6	10,873,104	9,543,262
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	7	47,420,440	32,429,796
ფული და ფულის ეკვივალენტები	8	31,287,080	29,204,227
		89,580,624	71,177,285
სულ აქტივები		91,765,521	73,521,204
<i>კაპიტალი და ვალდებულებები</i>			
საწესდებო კაპიტალი		958,710	958,710
დაგროვილი მოგება/ზარალი		40,321,259	24,957,939
		41,279,969	25,916,649
<i>გრძელვადიანი ვალდებულებები</i>			
საიჯარო ვალდებულებები		-	-
		-	-
<i>მიმდინარე ვალდებულებები</i>			
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	9	48,213,595	45,601,677
გადასახდელი ხელფასები	9	886,628	594,419
საგადასახადო ვალდებულებები	9	1,224,136	1,362,292
საიჯარო ვალდებულებები		161,193	46,167
სულ მიმდინარე ვალდებულებები		50,485,552	47,604,555
სულ ვალდებულებები		50,485,552	47,604,555
სულ კაპიტალი და ვალდებულებები		91,765,521	73,521,204

ფინანსური ანგარიშგება გამოიცა და დამტკიცდა 2025 წლის 11 აგვისტო

ერეკლე გამყრელიძე

დირექტორი

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება წაკითხული უნდა იყოს 10-34 გვერდზე წარმოდგენილ ახსნა-განმარტებით შენიშვნებთან ერთად.

შპს „ლაქტალის ჯორჯია“
ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება
2024 წლის 31 დეკემბერი
ქართულ ლარში

	შენიშვნა	31 დეკემბერი 2024	31 დეკემბერი 2023
აქტივები			
გრძელვადიანი აქტივები			
ძირითადი საშუალებები	5	2,023,574	2,290,015
აქტივი გამოყენების უფლებით		153,983	43,666
არამატერიალური აქტივები		7,340	10,238
		2,184,897	2,343,919
მიმდინარე აქტივები			
მარაგები	6	10,873,104	9,543,262
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	7	47,420,440	32,429,796
ფული და ფულის ეკვივალენტები	8	31,287,080	29,204,227
		89,580,624	71,177,285
სულ აქტივები		91,765,521	73,521,204
კაპიტალი და ვალდებულებები			
საწესდებო კაპიტალი		958,710	958,710
დაგროვილი მოგება/ზარალი		40,321,259	24,957,939
		41,279,969	25,916,649
გრძელვადიანი ვალდებულებები			
საიჯარო ვალდებულებები		-	-
		-	-
მიმდინარე ვალდებულებები			
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	9	48,213,595	45,601,677
გადასახდელი ხელფასები	9	886,628	594,419
საგადასახადო ვალდებულებები	9	1,224,136	1,362,292
საიჯარო ვალდებულებები		161,193	46,167
სულ მიმდინარე ვალდებულებები		50,485,552	47,604,555
სულ ვალდებულებები		50,485,552	47,604,555
სულ კაპიტალი და ვალდებულებები		91,765,521	73,521,204

ფინანსური ანგარიშგება გამოიცა და დამტკიცდა 2025 წლის 11 აგვისტო

ერეკლე გამყრელიძე

დირექტორი



ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება წაკითხული უნდა იქნას 10-34 გვერდზე წარმოდგენილ ახსნა-განმარტებით შენიშვნებთან ერთად.

შპს „ლაქტალის ჯორჯია“
 მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება
 2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის
 ქართულ ლარში

	შენიშვნა	2024	2023
შემოსავლები	10	289,728,529	260,373,620
რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება	11	(159,231,396)	(161,657,753)
საერთო მოგება		130,497,133	98,715,867
მიწოდების ხარჯი	12	(98,417,813)	(77,460,543)
საოპერაციო ხარჯი	13	(13,033,207)	(9,523,751)
შედეგი საოპერაციო საქმიანობიდან		19,046,113	11,731,573
არასაოპერაციო შემოსავალი	14	2,481,432	1,908,018
არასაოპერაციო ხარჯი	15	(2,588,905)	(2,809,046)
ზარალი საკუროსო სხვაობიდან		(8,739)	(143,869)
მოგება დაბეგვრამდე		18,929,901	10,686,676
მოგების გადასახადი		(648,581)	(1,721,960)
წლის მოგება		18,281,320	8,964,716
სხვა სრული შემოსავალი		-	-
წლის სხვა სრული შემოსავალი		-	-
სულ მთლიანი სრული შემოსავალი		18,281,320	8,964,716

ფინანსური ანგარიშგება გამოიცა და დამტკიცდა 2025 წლის 11 აგვისტოს:

ერეკლე გამყრელიძე

დირექტორი

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება წაკითხული უნდა იყოს 10-34 გვერდზე წარმოდგენილ ახსნა-განმარტებით შენიშვნებთან ერთად.

შპს „ლაქტალის ჯორჯია“

მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება

2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის
ქართულ ლარში

	შენიშვნა	2024	2023
შემოსავლები	10	289,728,529	260,373,620
რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება	11	(159,231,396)	(161,657,753)
საერთო მოგება		130,497,133	98,715,867
მიწოდების ხარჯი	12	(98,417,813)	(77,460,543)
საოპერაციო ხარჯი	13	(13,033,207)	(9,523,751)
შედეგი საოპერაციო საქმიანობიდან		19,046,113	11,731,573
არასაოპერაციო შემოსავალი	14	2,481,432	1,908,018
არასაოპერაციო ხარჯი	15	(2,588,905)	(2,809,046)
ზარალი საკურსო სხვაობიდან		(8,739)	(143,869)
მოგება დაბეგვრამდე		18,929,901	10,686,676
მოგების გადასახადი		(648,581)	(1,721,960)
წლის მოგება		18,281,320	8,964,716
სხვა სრული შემოსავალი		-	-
წლის სხვა სრული შემოსავალი		-	-
სულ მთლიანი სრული შემოსავალი		18,281,320	8,964,716

ფინანსური ანგარიშგება გამოიცა და დამტკიცდა 2025 წლის 11 აგვისტოს:

ერეკლე გამყრელიძე

დირექტორი



ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება წაკითხული უნდა იყოს 10-34 გვერდზე წარმოდგენილ ახსნა-განმარტებით შენიშვნებთან ერთად.

შპს „ლაქტალის ჯორჯია“
 კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგება
 2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის
 ქართულ ლარში

	საწესდებო კაპიტალი	დაგროვილი მოგება/(ზარალი)	სულ
1 იანვარი 2023	958,710	25,177,920	26,136,630
წლის მოგება	-	8,964,716	8,964,716
სრული შემოსავალი	958,710	34,142,636	35,101,346
გაცემული დივიდენდი	-	(9,184,697)	(9,184,697)
ოპერაციები დამფუძნებლებთან	-	(9,184,697)	(9,184,697)
31 დეკემბერი 2023	958,710	24,957,939	25,916,649
წლის მოგება	-	18,281,320	18,281,320
სრული შემოსავალი	958,710	43,239,259	44,197,969
გაცემული დივიდენდი	-	(2,918,000)	(2,918,000)
ოპერაციები დამფუძნებლებთან	-	(2,918,000)	(2,918,000)
31 დეკემბერი 2024	958,710	40,321,259	41,279,969

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება წაკითხული უნდა იყოს 10-34 გვერდზე წარმოდგენილ ახსნა-განმარტებით შენიშვნებთან ერთად.

შპს „ლაქტალის ჯორჯია“
 ფულადი ნაკადების ანგარიშგება
 2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის
 ქართულ ლარში

	შენიშვნა	2024	2023
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან			
წლის მოგება/ზარალი		18,929,901	10,686,676
<i>კორექტირებები:</i>			
ცვეთა და ამორტიზაცია	12,13	959,019	556,968
მოგება/ზარალი კურსთაშორის სხვაობიდან		8,739	143,869
მარაგების ჩამოწერა	14	1,633,878	1,945,686
...			
ფულადი ნაკადები სამუშაო კაპიტალის ცვლილებამდე		21,531,537	13,333,198
ცვლილებები სავაჭრო და სხვა მოთხოვნებში		(14,990,644)	(4,035,774)
ცვლილებები აქტივი გამოყენების უფლება		(110,317)	(21,477)
ცვლილებები მარაგებში		(2,963,720)	(4,723,292)
ცვლილებები გადახდილ ავანსებში		(138,156)	1,051,013
ცვლილებები სავაჭრო და სხვა ვალდებულებებში		2,611,917	3,555,727
ცვლილებები გადასახდელ ხელფასში		292,210	89,611
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან		6,232,827	9,249,006
გადახდილი მოგების გადასახადი		(648,581)	(1,721,960)
წმინდა ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან		5,584,246	7,527,046
ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან			
ძირითადი საშუალებების შესყიდვა		(689,680)	(1,446,680)
საინვესტიციო საქმიანობაში გამოყენებული ფული		(689,680)	(1,446,680)
ფულადი ნაკადები საფინანსო ვალდებულებიდან			
გადახდილი დივიდენდი		(2,918,000)	(9,184,697)
საიჯარო ვალდებულების აღება		115,026	23,019
საფინანსო საქმიანობაში გამოყენებული ფული		(2,802,974)	(9,161,678)
ფული ხელზე და საბანკო ანგარიშებზე ზრდა		2,082,853	(3,113,933)
უცხოური ვალუტის კურსის ეფექტი		(8,739)	(32,621)
ფული ხელზე და საბანკო ანგარიშებზე წლის დასაწყისში		29,204,227	32,318,160
ფული ხელზე და საბანკო ანგარიშებზე წლის ბოლოს		31,287,080	29,204,227

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება წაკითხული უნდა იყოს 10-34 გვერდზე წარმოდგენილ ახსნა-განმარტებით შენიშვნებთან ერთად.

1 ზოგადი ინფორმაცია

შპს „ლაქტალის ჯორჯია“ (შემდგომში - კომპანია) არის შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება, რომელიც ფუნქციონირებს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. კომპანია დარეგისტრირდა 2011 წლის 23 მაისს, თბილისის საჯარო რეესტრის მიერ. კომპანიის საიდენტიფიკაციო კოდია 404898973. იურიდიული მისამართი - საქართველო, ქ.თბილისი, ვაკე-საბურთალოს რაიონი, ვაჟა-ფშაველას გამზირი #71, მე-4 სართული, ოფისი 24. კომპანიამ შეიცვალა მისამართი და მისი ამჟამინდელი მისამართია - ქ.თბილისი, ისანი-სამგორის რაიონი, კახეთის გზატკეცილი მე-10 კმ.

კომპანია ახორციელებს რძის პროდუქტების დისტრიბუციას.

კომპანიის ბენეფიციარი მფლობელები არიან შემდეგი პირები:

#	სახელი გვარი	მოქალაქეობა	საცხოვრებელი ადგილი	დაბადების თარიღი, ადგილი	სტატუსი	პროცენტი
1	Emmanuel Besnier	საფრანგეთი	საფრანგეთი	საფრანგეთი 1970	მფლობელი	33.34%
2	Jean-Michel Besnier	საფრანგეთი	საფრანგეთი	საფრანგეთი 1968	მფლობელი	33.33%
3	Marie Besnier Beauval	საფრანგეთი	საფრანგეთი	საფრანგეთი 1980	მფლობელი	33.33%

2 მომზადების საფუძველი

2.1 ანგარიშგების შესაბამისობა

წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს (ბასსს) მიერ გამოქვეყნებული ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (ფასს) შესაბამისად. ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია დაშვებით, რომ კომპანია ოპერირებს ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპით.

2.2 შეფასების საფუძველი

ფინანსური ანგარიშგება მომზადდა დარიცხვის მეთოდით და ისტორიული ღირებულების კონვენციის შესაბამისად, გარდა გარკვეული ფინანსური ინსტრუმენტებისა, რომლებიც აღირიცხება მომავალი ფულადი ნაკადების მიმდინარე დისკონტირებული ღირებულებით და ძირითადი საშუალებებისა, რომლებიც აღირიცხება მათი გადაფასებული ღირებულებით.

2.3 ფუნქციონირებადი საწარმო

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპის საფუძველზე, იმის დაშვებით, რომ კომპანია განაგრძობს ფუნქციონირებას პროგნოზირებად მომავალში. კომპანიის ხელმძღვანელობასა და დამფუძნებელს სურვილი აქვთ, განავითარონ საქმიანობა საქართველოში. ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპის გამოყენებისთვის ხელმძღვანელობამ გაითვალისწინა კომპანიის საქმიანობა, მიზნები და სტრატეგია, ძირითადი რისკები და გაურკვევლობა მისი მიზნების მისაღწევად. ხელმძღვანელობამ მოამზადა ჯგუფის ფინანსური პროგნოზი კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების დამტკიცების დღიდან 12 თვის განმავლობაში, რომელშიც გაითვალისწინა მოვლენათა უარყოფითი განვითარების შესაძლო სცენარები, რომელიც გულისხმობდა უარყოფითი გავლენის ისეთი დონის გამოკვლევას, რამაც შეიძლება გამოიწვიოს კომპანიის ფუნქციონირების შეწყვეტა. ამის საფუძველზე, ხელმძღვანელობას მიაჩნია, რომ კომპანიის უნარი გააგრძელოს საქმიანობა, როგორც ფუნქციონირებდმა საწარმომ, ფინანსური ანგარიშგების დამტკიცებიდან 12 თვის განმავლობაში, დაკავშირებული არ არის არსებით განუსაზღვრელობასთან.

2.4 სამუშაო ვალუტა

კომპანიის სამუშაო ვალუტა არის ქართული ლარი (შემდგომში “ქართული ლარი”), როგორც ვალუტა, რომელიც ყველაზე კარგად ასახავს კომპანიის ეკონომიკურ მდგომარეობას, მის გარშემო არსებულ სიტუაციას და განხორციელებულ გარიგებებს.

ფინანსური ანგარიშგება წარმოდგენილია ქართულ ლარში (თუ სხვაგვარად არ არის აღნიშნული), რადგან მენეჯმენტი თვლის, რომ ეს ვალუტა უფრო სასარგებლოა თანდართული ფინანსური ანგარიშგების მომხმარებლებისთვის. ყველა ფინანსური მონაცემი წარმოდგენილია ლარში, დამრგვალებულია უახლოეს ერთეულამდე.

2.5 შეფასებებისა და მოსაზრებების გამოყენება

წინამდებარე ანგარიშგების ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად მომზადებისათვის, ხელმძღვანელობამ გააკეთა მთელი რიგი შეფასებები, რომლებიც გავლენას ახდენენ ანგარიშგებაში წარმოდგენილი აქტივებისა და ვალდებულებების თანხებზე საანგარიშგებო პერიოდისთვის, აგრეთვე შესაბამის შემოსავლებზე და ხარჯებზე. კონკრეტული სფეროები, სადაც მნიშვნელოვანი შეფასებები და მსჯელობებია გამოყენებული, ან სადაც ხელმძღვანელობის მიერ გამოყენებული დაშვებები და სააღრიცხვო შეფასებები მნიშვნელოვან გავლენას ახდენს ფინანსურ ანგარიშგებაზე, განხილულია 4.1-ე შენიშვნაში. ეს შეფასებები ემყარება მენეჯმენტის საუკეთესო ცოდნას მიმდინარე მოვლენებისა და ქმედებების შესახებ, ფაქტობრივი შედეგები საბოლოოდ შეიძლება განსხვავდებოდეს ამ შეფასებებისაგან და თავდაპირველი შეფასებები და ვარაუდები შეიცვლება საჭიროებისამებრ იმ წელს, როდესაც გარემოებები შეიცვლება.

2.6 ახალი და შესწორებული სტანდარტებისა და ინტერპრეტაციების მიღება

კომპანიამ მიმდინარე წელს მიიღო ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოსა (“IASB”) და ფინანსური ანგარიშგების ინტერპრეტაციების საერთაშორისო საბჭოს (“IFRIC”) მიერ გაცემული ყველა ახალი და გადახედილი სტანდარტი და ინტერპრეტაცია, რომლებიც შესაბამისობაშია

მის ფუნქციონირებასთან და ძალაშია ყოველწლიური საანგარიშო პერიოდისთვის დაწყებული 2024 წლის 1 იანვრიდან. კომპანიას არ მიუღია სხვა არცერთი სტანდარტი, ინტერპრეტაცია ან შესწორება, რომლებიც გამოცემულია მაგრამ არ არის ეფექტური რეპორტინგ პერიოდისთვის.

ქვემოთ მოცემულ ინტერპრეტაციებს და ცვლილებებს, რომლებიც ძალაში შევიდა 2024 წლის 1 იანვრის შემდეგ გავლენა არ ჰქონია კომპანიის ფინანსურ ანგარიშგებაზე:

- ცვლილებები ფასს 16 იჯარაში – საიჯარო ვალდებულებები უკუიჯარის პირობით გაყიდვის ოპერაციებში - შესწორებებს არანაირი გავლენა არ ქონია კომპანიის ფინანსურ ანგარიშგებაზე;
- ცვლილებები ბასს 1-ში - ფინანსური ანგარიშგების წარდგენა - ვალდებულებების მოკლევადიან და გრძელვადიან ვალდებულებებად კლასიფიკაცია;
- ცვლილებები ბასს 7-ში ფულადი ნაკადების ანგარიშგება და ფასს 7-ში - ფინანსური ინსტრუმენტები - განმარტებითი შენიშვნები: მომწოდებლებთან არსებული ფინანსური შეთანხმებები.

სტანდარტები, ცვლილებები და ინტერპრეტაციები, რომლებიც ჯერ არ შესულა ძალაში და რომლებიც ჯერ არ არის გამოყენებული კომპანიის მიერ

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების ხელმოწერის თარიღისთვის გამოცემული იყო რიგი სტანდარტები, ცვლილებები და არსებული სტანდარტების ინტერპრეტაციები, რომლებიც გამოქვეყნებულ იქნა ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს (ბასსს) მიერ, მაგრამ ძალაში ჯერ არ შესულა და არც კომპანიას გამოუყენებია ვადაზე ადრე.

მენეჯმენტი ვარაუდობს, რომ ყველა შესაბამისი სტანდარტის და ცვლილების დანერგვა კომპანიის სააღრიცხვო პოლიტიკაში მოხდება იმ პირველივე პერიოდის განმავლობაში, რომელიც იწყება ახალი სტანდარტისა თუ ცვლილების ძალაში შესვლის გამოცხადებული თარიღიდან.

მენეჯმენტს მიაჩნია, რომ ქვემოთ მოცემული სტანდარტები და განახლებები არ იქონიებს მნიშვნელოვან გავლენას კომპანიის ფინანსურ ანგარიშგებაზე.

- ცვლილებები ბასს 21 - უცხოური ვალუტის კურსის ცვლილებებით გამოწვეული შედეგებში - ურთიერთგაცვლის შეზღუდული არსებობა;
- ფინანსური ანგარიშგების წარდგენა და განმარტებითი შენიშვნები;
- ფასს 19 - შვილობილი საწარმოები საჯარო ანგარიშვალდებულების გარეშე: განმარტებითი შენიშვნები.

3 მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკა

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას გამოყენებული მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკა მოცემულია ქვემოთ. აღნიშნული პოლიტიკა თანმიმდევრულადაა გამოყენებული ფინანსურ ანგარიშგებაში წარმოდგენილ ყველა ინფორმაციაზე, თუ ეს სხვაგვარად არაა აღნიშნული.

3.1 ოპერაციები უცხოურ ვალუტაში

ფინანსური ანგარიშგების მომზადების მიზნებისათვის, საანგარიშგებო ვალუტისაგან (ლარი) განსხვავებულ, უცხოურ ვალუტაში განხორციელებული ოპერაციები გადაიყვანება ტრანზაქციის განხორციელების დღისთვის საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი გაცვლითი კურსის

მიხედვით. ანგარიშგების თარიღისთვის, უცხოურ ვალუტაში დენომინირებული ფულადი მუხლები გადაანგარიშებულია ამავე თარიღისთვის არსებული ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი გაცვლითი კურსით, რომელიც 2024 წლის 31 დეკემბერს ერთი ამერიკული დოლარისთვის შეადგენს

	2024	2023
1 დოლარი/ლარი	2.8068	2.6894
1 ევრო/ლარი	2.9306	2.9753

არაფულადი მუხლების გადაანგარიშება წლის ბოლო კურსით არ ხდება და ისინი ბალანსში წარდგენილია ისტორიული ღირებულებით (ლარში გადაყვანილია ოპერაციის განხორციელების დღის კურსით), გარდა რეალური ღირებულებით წარდგენილი არაფულადი მუხლებისა, რომლებიც ლარში გადაყვანილია მათი რეალური ღირებულების შეფასების დღის შესაბამისი კურსით.

საკუროს სხვაობით გამოწვეული სხვაობები ასახულია მოგება-ზარალის ანგარიშგებაში.

3.2 ამონაგები მომხმარებლებთან გაფორმებული კონტრაქტებიდან

კომპანია აღიარებს ამონაგებს დაპირებული საქონლისა და მომსახურების მომხმარებლებისთვის გადაცემისას, იმ ანაზღაურების ოდენობით, რომლის მიღების უფლებასაც ჯგუფი მოელის ამ საქონლისა და მომსახურების გადაცემის სანაცვლოდ. ჯგუფი იყენებს ხუთ საფეხურიან მოდელს მომხმარებელთან გაფორმებული ყველა ხელშეკრულების მიმართ:

- მომხმარებელთან ხელშეკრულების იდენტიფიცირება;
- სახელშეკრულებო ვალდებულებების დადგენა;
- გარიგების ფასის განსაზღვრა;
- გარიგების ფასის მიკუთვნება სახელშეკრულებო ვალდებულებასთან;
- ამონაგების აღიარება, როდესაც (ან თუ) პირი სახელშეკრულებო ვალდებულებას შეასრულებს.

კომპანია ამონაგებს აღიარებს დროის კონკრეტულ მომენტში ან დროთა განმავლობაში სახელშეკრულებო ვალდებულების შესრულებისას, ანუ მაშინ, როდესაც შესაბამის ვალდებულებასთან დაკავშირებულ საქონელზე/მომსახურებაზე “კონტროლი” მომხმარებელს გადაეცემა.

საოპერაციო შემოსავალი:

კომპანია დაკავებულია პროდუქციის იმპორტითა და დისტრიბუციით საქართველოს ბაზარზე.

3.3 იჯარა

კომპანია როგორც მოიჯარე

კომპანია ძირითადად საოფისე ფართის უზრუნველსაყოფად იჯარის ხელშეკრულებებს იყენებს. საოფისე ფართის იჯარის ხელშეკრულებები, როგორც წესი, ერთი წლით იდება და შეიძლება გაგრძელდეს კიდევ.

კომპანია ხელშეკრულების დადებისას აფასებს, წარმოადგენს თუ შეიცავს თუ არა ხელშეკრულება იჯარას. იჯარა იძლევა უფლებას, გარკვეული პერიოდის განმავლობაში განსაზღვრული აქტივის

გამოყენება და მისგან მიღებული არსებითად ყველა ეკონომიკური სარგებელი ანაზღაურების სანაცვლოდ მიიღოს.

მოიჯარის მიერ იჯარის შეფასება და აღიარება

იჯარის დაწყების თარიღისათვის კომპანია აღიარებს აქტივების გამოყენების უფლებასა და საიჯარო ვალდებულებას ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში. აქტივის გამოყენების უფლება განისაზღვრება თვითღირებულებით, რომელიც მოიცავს საიჯარო ვალდებულების თავდაპირველ შეფასებას, კომპანიის მიერ გაწეულ თავდაპირველ პირდაპირ დანახარჯებს, იჯარის ბოლოს აქტივის დემონტაჟისა და ლიკვიდაციისთვის საჭირო შეფასებით ხარჯებს და იჯარის დაწყების თარიღისთვის გადახდილ ავანსებს (ყველა მიღებული წამახალისებელი გადახდების გამოკლებით).

კომპანია, აქტივების გამოყენების უფლებებისთვის, იყენებს ცვეთის წრფივ მეთოდს იჯარის დაწყების თარიღიდან შემდეგ ორ თარიღს შორის უფრო ადრინდელ თარიღამდე: აქტივის გამოყენების უფლების სასარგებლო მომსახურების ვადის დასრულებისა და იჯარის ვადის დასრულების თარიღი. კომპანია ასევე აფასებს აქტივის გამოყენების უფლების გაუფასურებას, როდესაც ასეთი ინდიკატორი არსებობს.

იჯარის ვადის დაწყების თარიღისთვის, კომპანია საიჯარო ვალდებულებას აფასებს იმ საიჯარო გადახდების დღევანდელი ღირებულების მიხედვით, რომლებიც ამ თარიღისთვის განხორციელებული არ არის. საიჯარო გადახდების დისკონტირება ხორციელდება იჯარაში ნაგულისხმევი საპროცენტო განაკვეთით, თუ ამ განაკვეთის განსაზღვრა ადვილად შეიძლება, ან კომპანიის ზღვრული სასესხო განაკვეთის საშუალებით.

საიჯარო გადახდები, რომლებიც გაითვალისწინება საიჯარო ვალდებულების შეფასებაში, მოიცავს ფიქსირებულ გადახდებს (მათ შორის, არსებითად ფიქსირებულ გადახდებს), ინდექსზე ან განაკვეთზე დამოკიდებულ ცვლად საიჯარო გადახდებს, თანხებს, რომლებსაც მოსალოდნელია, რომ მოიჯარე

გადაიხდის ნარჩენი ღირებულების გარანტიების მიხედვით და უფლებებით წარმოშობილ გადახდებს, თუ საკმარისად სარწმუნოა, რომ მოიჯარე ამ უფლებას გამოიყენებს.

იჯარის ვადის დაწყების თარიღის შემდეგ მოიჯარემ საიჯარო ვალდებულება უნდა შეამციროს განხორციელებული საიჯარო გადახდებით და გაზარდოს საიჯარო ვალდებულებასთან დაკავშირებული პროცენტით. საიჯარო ვალდებულების შეფასება ხდება ხელახლა, რათა აისახოს ხელახალი შეფასების შედეგი, ან იჯარის მოდიფიკაციები, ან გადასინჯული არსებითად ფიქსირებული საიჯარო გადახდები.

საიჯარო ვალდებულების ხელახალი შეფასების შემდეგ, შესაბამისი კორექტირება აისახება აქტივის გამოყენების უფლებაზე ან მოგება-ზარალის ანგარიშგებაში, თუ აქტივის გამოყენების უფლების საბალანსო ღირებულება ნულია.

კომპანიამ გადაწყვიტა მოკლევადიანი და დაბალი ღირებულების მქონე აქტივების იჯარა აღრიცხოს პრაქტიკული ხასიათის გამარტივებული მიდგომის გამოყენებით. აქტივის გამოყენების უფლებისა და საიჯარო ვალდებულების აღიარების ნაცვლად, იჯარასთან დაკავშირებული გადახდები აღიარდება ხარჯად მოგება-ზარალის ანგარიშგებაში წრფივი მეთოდით, იჯარის პერიოდის განმავლობაში.

კომპანია, როგორც მეიჯარე

როგორც მეიჯარე, კომპანია თავის იჯარებს კლასიფიცირებს როგორც საოპერაციო, ასევე ფინანსურ იჯარად.

იჯარა კლასიფიცირდება, როგორც ფინანსური იჯარა, თუ ის გადასცემს ძირითადი აქტივის საკუთრებასთან დაკავშირებულ არსებითად ყველა რისკსა და სარგებელს, ხოლო თუ ეს ასე არ ხდება, კლასიფიცირდება, როგორც საოპერაციო იჯარა.

3.4 მოგების გადასახადი

მიმდინარე გადასახადი არის საგადასახადო ვალდებულება პერიოდის დასაბეგრ მოგებაზე/(ზარალზე), რომელიც განგარიშებულია ანგარიშგების თარიღისთვის არსებული საგადასახადო განაკვეთით და ითვალისწინებს წინა წლებთან დაკავშირებული საგადასახადო ვალდებულების ყველა შესაძლო შესწორებას.

მიმდინარე საგადასახადო მოდელის მიხედვით, რომელიც საქართველოში მოქმედებს 2017 წლის 1 იანვრიდან („კორპორატიული დაბეგვრის ესტონური მოდელი“), მოგების გადასახადის განაკვეთი განისაზღვრა ნულოვანი განაკვეთით გაუნაწილებელ მოგებაზე, და 15%-იანი განაკვეთით განაწილებულ მოგებაზე. ცვლილებების შედეგად, 2017 წლის 1 იანვრიდან კომპანიები იბეგრებიან მოგების გადასახდით, თუ მოხდება მოგების განაწილება (მოგების, როგორც დივიდენდის განაწილება აქციონერებზე) და ინდივიდუალური ტრანზაქციები, რომლებიც შეიძლება მოგების ირიბად განაწილებად ჩაითვალოს (სარგებელი, საჩუქარი, გადახდები, ტრანზაქციები დაკავშირებულ მხარეებთან, რომლებიც არ არის განხორციელებული გაშლილი ხელის პრინციპით, ხარჯები რომლებიც არ არის დაკავშირებული ეკონომიკურ საქმიანობასთან და სხვა).

დივიდენდის გაცემიდან წარმოქმნილი მოგების გადასახადი აღიარდება ხარჯად იმ პერიოდში, როცა დივიდენდი გამოცხადდა, მიუხედავად მათი რეალური გადახდის თარიღის, ან პერიოდისა, რომელშიც მოხდა ამ დივიდენდის გატანა. განაკვეთი წარმოადგენს განაწილებული მოგების 15/85 ნაწილს.

აღნიშნული ცვლილების გამო, არ წარმოიქმნება დროებითი სხვაობები კომპანიის აქტივებსა და ვალდებულებებში, ანგარიშგებაში, ფინანსური და საგადასახადო ბაზის საფუძველზე. შესაბამისად გადავადებული საგადასახო აქტივი და ვალდებულება, როგორც განსაზღვრულია ბასს 12 მოგებიდან გადასახადებით არ წარმოიქმნება 2017 წლის 1 იანვრიდან და არ არის ასახული ამ ფინანსურ ანგარიშგებებში.

3.5 გადასახადები, გარდა მოგების გადასახადისა

გადასახადები გარდა მოგების გადასახადისა აღიარდება იმ საანგარიშგებო პერიოდში რა პერიოდშიც წარმოიქმნება მავალდებულებელი მოვლენა. მავალდებულებელ მოვლენას წარმოადგენს ქმედება ან ფაქტი, რომელიც საქართველოს საგადასახადო კოდექსით განაპირობებს გადასახადის გადახდას. წინასწარ გადახდილი გადასახადები, რომლიდანაც მოსალოდნელია მომავალში ეკონომიკური სარგებლის მიღება აღიარდება აქტივად.

3.6 ძირითადი საშუალებები

ყველა ძირითადი საშუალება აღირიცხება მათი ისტორიული ღირებულებით, გამოკლებული დაგროვილი ცვეთა და დაგროვილი გაუფასურების ზარალი. ძირითადი საშუალებების ისტორიული ღირებულება მოიცავს (ა) მისი შესყიდვის ფასს, იმპორტის გადასახადებისა და არაანაზღაურებადი შესყიდვის გადასახადების ჩათვლით, სავაჭრო ფასდაკლებების გამოკლების შემდეგ; (ბ) ნებისმიერ ხარჯს, რომელიც პირდაპირ კავშირშია ერთეულის იმ ადგილას და მდგომარეობაში მოყვანასთან, რაც აუცილებელია მისი კომპანიის მენეჯმენტის მიერ განსაზღვრული წესით ფუნქციონირებისთვის; (გ) ერთეულის დემონტაჟისა და მოხსნის, ასევე იმ ადგილის აღდგენის ხარჯების საწყის შეფასებას, სადაც ის მდებარეობს; (დ) ვალდებულებას, რომელსაც კომპანია იღებს ერთეულის შეძენისას ან ერთეულის კონკრეტულ პერიოდში გამოყენების შედეგად, გარდა მარაგების წარმოებისა, ამ პერიოდში; და (ე) კვალიფიციური აქტივებისთვის, სესხის აღების ხარჯები, რომლებიც კაპიტალიზებულია კომპანიის სააღრიცხვო პოლიტიკის შესაბამისად.

შემდგომში კაპიტალიზებული ხარჯები მოიცავს ძირითად ხარჯებს გაუმჯობესებისა და ჩანაცვლებისთვის, რომლებიც ახანგრძლივებს აქტივების სასარგებლო მომსახურების ვადას ან ზრდის მათი შემოსავლის გენერირების შესაძლებლობას. რემონტისა და მოვლა-პატრონობის ხარჯები, რომლებიც არ აკმაყოფილებს კაპიტალიზაციის ზემოთ ჩამოთვლილ კრიტერიუმებს, აისახება მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგებაში გაწევისთანავე.

ძირითადი საშუალებების ერთეულის გაყიდვიდან მიღებული მოგება ან ზარალი განისაზღვრება გაყიდვიდან მიღებული შემოსავლის შედარებით ძირითადი საშუალებების საბალანსო ღირებულებასთან და წარმოდგენილია წმინდა თანხით სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგებაში „სხვა ხარჯების“ განყოფილებაში. ძირითადი საშუალებების ან კონკრეტული ერთეულების ცვეთის დარიცხვა იწყება მაშინ, როდესაც ასეთი ძირითადი საშუალებები მზადაა გამოსაყენებლად კომპანიის მენეჯმენტის მიერ განსაზღვრული წესით. ძირითადი საშუალებების ცვეთის დარიცხვა ხდება ისე, რომ ჩამოიწეროს ცვეთის ოდენობა აქტივის სასარგებლო სიცოცხლის განმავლობაში და გამოითვლება წრფივი მეთოდით.

ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადები შემდეგია:

ოფისის აღჭურვილობა	2 წელი
მანქანა-დანადგარები	5 წელი
კომპიუტერები და სხვა მოწყობილობები	3-5 წელი
სატრანსპორტო საშუალებები	4-5 წელი
დახლ-მაცივრები	3-5 წელი
სხვა ძირითადი საშუალებები	1-5 წელი
იჯარით აღებული ძირითადი საშუალება	5 წელი

3.7 არამატერიალური აქტივები

კომპანიის მიერ შეძენილი არამატერიალური აქტივები, რომლებსაც აქვთ შეზღუდული სასარგებლო ვადა, აღირიცხება თვითღირებულებით, დაგროვილი ამორტიზაციისა და გაუფასურების ზარალის გამოკლებით. ამორტიზაცია აღირიცხება მოგებაში ან ზარალში წრფივი მეთოდით არამატერიალური აქტივების სასარგებლო მომსახურების ვადის განმავლობაში, რომელიც 5-10 წელია.

3.8 გრძელვადიანი აქტივების გაუფასურება

განუსაზღვრელი სასარგებლო მომსახურების ვადის მქონე აქტივებს ცვეთა არ ერიცხება და ხდება მათი ყოველწლიური ტესტირება გაუფასურებაზე. აქტივები, რომლებიც ცვეთას ექვემდებარებიან, გაუფასურებაზე ტესტს გადიან მაშინ, როდესაც მოვლენები ან გარემოებათა ცვლილებები მიანიშნებენ, რომ მათი საბალანსო ღირებულება შეიძლება არ იყოს ანაზღაურებადი. გაუფასურების ზარალი მომენტალურად აისახება, როგორც ხარჯი იმ შემთხვევაში, როცა აქტივის საბალანსო ღირებულება აჭარბებს მის ანაზღაურებად ღირებულებას.

ანაზღაურებადი ღირებულება განისაზღვრება, როგორც უდიდესი აქტივის გამოყენების ღირებულებასა და მის სარეალიზაციო ღირებულებას შორის. თუ აქტივის ანაზღაურებადი ღირებულება ან ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეული შეფასებულია საბალანსო ღირებულებაზე ნაკლებად, მაშინ საბალანსო ღირებულება მცირდება მის ანაზღაურებად ღირებულებამდე. გაუფასურების ზარალის ხარჯად აღიარება ხდება დაუყოვნებლივ, გარდა იმ შემთხვევისა, როცა აქტივი არის წარმოდგენილი გადაფასებული ღირებულებით და გაუფასურების ზარალი პირდაპირ ამცირებს გაუფასურების რეზერვს.

როცა გაუფასურების ზარალის ანუღირება ხდება, მაშინ აქტივის საბალანსო ღირებულება იზრდება მის ანაზღაურებად ღირებულებამდე, მაგრამ ისე, რომ გაზრდილი საბალანსო ღირებულება არ აჭარბებდეს საბალანსო ღირებულებას, რომელიც განსაზღვრული იქნებოდა წინა პერიოდის გაუფასურების არარსებობის შემთხვევაში. გაუფასურების ანუღირება დაუყოვნებლივ აღიარდება შემოსავალში, თუ ეს აქტივი არ აღირიცხება გადაფასებული ღირებულებით, რა შემთხვევაშიც ნებისმიერი გაუფასურების ზარალის ანუღირება განისაზღვრება როგორც გადაფასების ზრდა.

3.9 მარაგები

მარაგები აღირიცხება თვითღირებულებასა და ნეტო სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესი თანხით. მარაგების ღირებულება მოიცავს შემენის ყველა პირდაპირ ხარჯს და სხვა ხარჯებს, რომლებიც გაწეულია მარაგების ამჟამინდელ ადგილმდებარეობამდე მისაყვანად. მარაგების შემენის ხარჯები მოიცავს შესყიდვის ფასს და სხვა გადასახადებს (გარდა იმ გადასახადებისა, რომლებსაც კომპანია შემდგომში ანაზღაურებს საგადასახადო ორგანოებისგან), ასევე ტრანსპორტირების, დამუშავების და სხვა ხარჯებს, რომლებიც პირდაპირ კავშირშია მზა საქონლის, მასალებისა და მომსახურების შეძენასთან.

გასაყიდი საქონლის მოძრაობა აღირიცხება საშუალო შეწონილი ღირებულების მეთოდით.

3.10 ანარიცხები

ანარიცხების აღიარება ხდება მაშინ, როდესაც ჯგუფს წარსული მოვლენის გამო აქვს მიმდინარე (იურიდიული თუ არაკონტრაქტული) ვალდებულება, მოსალოდნელია, რომ ჯგუფს მოეთხოვება ამ ვალდებულების გასტუმრება და შესაძლებელია ვალდებულების ოდენობის სათანადო სიზუსტით განსაზღვრა. ანარიცხებად აღიარებული ოდენობა წარმოადგენს იმ თანხის ყველაზე ზუსტ შეფასებას, რომელიც საჭირო იქნება მიმდინარე ვალდებულების დასაფარად ანგარიშგების პერიოდის ბოლოსთვის, ამ ვალდებულებასთან დაკავშირებული რისკებისა და გაურკვევლობების გათვალისწინებით. როდესაც ანარიცხები ფასდება მიმდინარე ვალდებულების გასასტუმრებლად

საჭირო ფულადი ნაკადებით, მისი საბალანსო ღირებულება არის ამ ფულადი ნაკადების დღევანდელი ღირებულება (თუ ფულის დროითი ღირებულების გავლენა მასზე არსებითია).

თუ ანარიცხების დაფარვისთვის საჭირო ეკონომიკური სარგებლის ნაწილობრივ ან მთლიანად მიღება მესამე მხარისგან არის მოსალოდნელი, მისაღები თანხის აღიარება აქტივად ხდება მაშინ, როდესაც ფაქტობრივად გარანტირებულია ანაზღაურების მიღება და მისაღები თანხის ოდენობის სარწმუნოდ შეფასება შესაძლებელია.

3.11 პირობითი აქტივები და ვალდებულებები

პირობითი ვალდებულებები ფინანსურ ანგარიშგებაში არ აღირიცხება. ისინი ფინანსური ანგარიშგების შენიშვნებში აისახება, თუ ეკონომიკური სარგებლის შემცველი რესურსების გადინების შესაძლებლობა ნაკლებად სავარაუდოა. პირობითი აქტივები აღირიცხება მხოლოდ მაშინ, როდესაც პირობითი შემთხვევა მოგვარდება.

3.12 ფინანსური ინსტრუმენტები

აღიარება და შეწყვეტა

ფინანსური აქტივი და ფინანსური ვალდებულება აღიარდება, მას შემდეგ, რაც კომპანია ხდება ფინანსური ინსტრუმენტის სახელშეკრულებო პირობების მონაწილე.

ფინანსური აქტივების აღიარების შეწყვეტა ხდება მას შემდეგ, რაც ამოიწურება ფინანსური სარგებლის მიღების სახელშეკრულებო უფლება, ან როდესაც ფინანსური აქტივი და მასთან დაკავშირებული რისკის მნიშვნელოვანი წილი გადადის სხვა მხარეზე.

ფინანსური ვალდებულების აღიარება წყდება, როდესაც ის შესრულდება, ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულება დაიფარება, გაუქმდება ან ვადა გაუვა.

ფინანსური აქტივების კლასიფიკაცია და თავდაპირველი შეფასება

იმ სავაჭრო მოთხოვნების გარდა, რომლებიც არ შეიცავს მნიშვნელოვან ფინანსურ კომპონენტს და შეფასებულია გარიგების ფასად ფასს 15-ის მიხედვით, ყველა ფინანსური აქტივი თავდაპირველად შეფასებულია რეალური ღირებულებით დაკორექტირებული გარიგების დანახარჯებით (სადაც შესაფერისია).

ფინანსური აქტივები, გარდა ჰეჯირებისთვის განსაზღვრული და გამოყენებული აქტივებისა, დაყოფილია შემდეგ კატეგორიებად:

- ამორტიზებული ღირებულებით
- რეალური ღირებულების მოგება-ზარალში ასახვით (FVTPL)
- რეალური ღირებულების ცვლილების სხვა სრულ შემოსავალში ასახვით (FVOCI).

წარმოდგენილ პერიოდში კომპანიას არ აქვს ფინანსური აქტივების კატეგორია FVOCI ან (FVTPL) .

კლასიფიკაცია განისაზღვრება ორივე შემდეგი კრიტერიუმის მიხედვით:

- კომპანიის ბიზნეს მოდელი ფინანსური აქტივის მართვისთვის;
- ფინანსური აქტივის სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების მახასიათებლები.

ფინანსურ აქტივთან დაკავშირებული ყველა შემოსავალი და ხარჯი, რომელიც აღიარებულია მოგებაში ან ზარალში წარმოდგენილია ფინანსური ხარჯებში, ფინანსური შემოსავალში ან სხვა ფინანსური მუხლებში, გარდა სავაჭრო მოთხოვნების გაუფასურებისა, რომლებიც წარმოდგენილია სხვა ხარჯებში. კომპანიის ფინანსური აქტივები დაყოფილი კატეგორიების მიხედვით მოცემულია შენიშვნაში 15.

ფინანსური აქტივების შემდგომი შეფასება

ფინანსური აქტივების ამორტიზირებული ღირებულებით შეფასება

ფინანსური აქტივები შეფასებულია ამორტიზირებული ღირებულებით თუ აკმაყოფილებს შემდეგ კრიტერიუმებს:

- ფლობს ფინანსურ აქტივებს ისეთი ბიზნეს მოდელის პირობებში, რომლის მიზანია ფინანსური აქტივების ფლობა სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების მიღების მიზნით;
- ფინანსური აქტივის სახელშეკრულებო პირობები კონკრეტულ თარიღებს ადგენს ისეთი ფულადი ნაკადების მიღებისთვის, რომლებიც წარმოადგენს მხოლოდ ძირი თანხისა და ძირი თანხის დაუფარავ ნაწილთან დაკავშირებული პროცენტის გადახდას.

ფინანსური აქტივები თავდაპირველი აღიარებისას შეფასებულია ამორტიზირებული ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით. დისკონტირება უგულებელყოფილია,

სადაც დისკონტირებას არამატერიალური ეფექტი აქვს. კომპანიის ფული და ფულის ეკვივალენტები, სავაჭრო და სხვა მოთხოვნების უმეტესობა, ისევე როგორც, ბასს 39-ის მიხედვით, ფლობისთვის განსაზღვრულად კლასიფიცირებული ობლიგაციები, ფინანსური ინსტრუმენტების ამ კატეგორიას მიეკუთვნება.

ფინანსური აქტივების გაუფასურება

ფასს 9-ის მოთხოვნები იყენებს უფრო მეტად საპროგნოზო ინფორმაციას მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის აღიარებისას – „მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის (ECL) მოდელი“. ეს ანაცვლებს ბასს 39-ის „განცდილი ზარალის მოდელს“. ახალ განსაზღვრებაში მოქცეული ინსტრუმენტები, რომლებიც მოიცავს სესხებს და სხვა სავალო ტიპის ფინანსურ აქტივებს შეფასებულს ამორტიზებული ღირებულებით და რეალური ღირებულებით სხვა სრულ შემოსავალში ასახვით, სავაჭრო მოთხოვნებს, სახელშეკრულებო აქტივებს, რომლებიც აღიარებული და შეფასებულია ფასს 15-ის მიხედვით და სესხის გაცემის ვალდებულებას და ზოგიერთი ფინანსური გარანტიის ხელშეკრულებებს (ემიტენტისთვის), რომლებიც არ არიან შეფასებული რეალური ღირებულებით მოგებაში ან ზარალში ასახვით.

საკრედიტო ზარალის აღიარება აღარ არის დამოკიდებული კომპანიის მიერ საკრედიტო ზარალის პირველად აღმოჩენის შემთხვევაზე. ამის მაგივრად კომპანია განიხილავს უფრო ფართო არეალის ინფორმაციას, როდესაც აფასებს საკრედიტო რისკს და მოსალოდნელ საკრედიტო ზარალს, ეს ინფორმაცია მოიცავს, წარსულ შემთხვევებს, მიმდინარე პირობებს, მართებულ და მისაღებ პროგნოზს, რომელსაც გავლენა აქვს ფინანსური აქტივის მომავალი ფულადი ნაკადების მოსალოდნელ შეგროვებადობაზე. ამ საპროგნოზო მიდგომის დანერგვისას, გამოიყენა ხდება:

- ფინანსურ ინსტრუმენტებს შორის, რომლებიც საკრედიტო ზარალის მიხედვით საგრძნობლად არ გაუარესებულა საწყისი აღიარების შემდგომ ან აქვს დაბალი საკრედიტო რისკი (დონე 1), და

- ფინანსურ ინსტრუმენტებს შორის, რომლებიც საგრძნობლად გაუარესდნენ კრედიტის ხარისხის მიხედვით საწყისი აღიარების შემდგომ და მათი საკრედიტო რისკი არ არის დაბალი (დონე 2)
- დონე 3 მოიცავს ფინანსურ აქტივებს, რომლებსაც აქვს გაუფასურების ობიექტური მტკიცებულება საანგარიშგებო თარიღისთვის.

„12 თვიანი მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი“ აღიარებულია პირველი კატეგორიით, ხოლო „არსებობის მანძილზე მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი“ მეორე კატეგორიით.

მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის აღიარება განსაზღვრულია ალბათობებით შეწონილი საკრედიტო ზარალის შეფასებით ფინანსური ინსტრუმენტის მოსალოდნელი არსებობის მანძილზე.

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

კომპანია იყენებს გამარტივებულ მიდგომას სავაჭრო და სხვა მოთხოვნების ანგარიშგების დროს ასევე სახელშეკრულებო აქტივების შემთხვევაშიც და აღრიცხავს ზარალის რეზერვის თანხას, როგორც ფინანსური ინსტრუმენტის არსებობის მანძილზე მოსალოდნელ საკრედიტო ზარალად. ეს არის მოსალოდნელი დეფიციტი სახელშეკრულებო ფულად ნაკადებში, რომელიც ითვლისწინებს პოტენციურ ვალდებულების შეუსრულებლობას ფინანსური აქტივის არსებობისას ნებისმიერ დროს. კომპანია იყენებს თავის ისტორიულ გამოცდილებას, გარე ფაქტორებს და საპროგნოზო ინფორმაციას მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის დაანგარიშების დროს.

კომპანია აფასებს სავაჭრო მოთხოვნების გაუფასურებას კოლექტიურ საფუძველზე რადგანაც ფლობენ საერთო საკრედიტო რისკის მახასიათებლებს და დაჯგუფებულები არიან ვადაგადაცილების მიხედვით. დეტალური ანალიზისთვის თუ როგორ არის ფასს 9- გამოყენებული გაუფასურების მოთხოვნებში იხილეთ შენიშვნა 7.

ფინანსური ვალდებულებების კლასიფიკაცია და შეფასება

კომპანიის ფინანსური ვალდებულებები მოიცავს სესხებს, სავაჭრო და სხვა ვალდებულებებსა და ფინანსური იჯარის ვალდებულებებს. შეჯამება კომპანიის ფინანსური ვალდებულებების შესახებ, კატეგორიების მიხედვით იხილეთ შენიშვნა 15- ში.

სესხები

სესხები თავდაპირველად აღიარდება რეალური ღირებულებით, გამოკლებული სესხთან დაკავშირებული გაცემის ხარჯებით. სხვაობა სამართლიან ღირებულებასა და ნომინალურ ღირებულებას შორის აღიარდება მოგებაში ან ზარალში. თავდაპირველი აღიარების შემდეგ, სესხები აისახება ამორტიზებული ღირებულებით, ხოლო სხვაობა თვითღირებულებასა და გამოსყიდვის ღირებულებას შორის აისახება მოგებაში ან ზარალში, სესხების პერიოდის განმავლობაში ეფექტური საპროცენტო განაკვეთის საფუძველზე. პროცენტები და სხვა ხარჯები, რომლებიც გაწეულია სესხებზე, მიეკუთვნება ფინანსურ ხარჯებს, გარდა იმ სესხის აღების ხარჯებისა, რომლებიც პირდაპირ კავშირშია შესაბამისი აქტივის შეძენასთან, მშენებლობასთან ან წარმოებასთან და რომლებიც კაპიტალიზდება ამ აქტივის ნაწილად.

სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

სავაჭრო და სხვა ვალდებულებები აღრიცხულია ამორტიზირებული ღირებულებით.

ფინანსური იჯარის ვალდებულებები

საიჯარო ვალდებულებები შეფასებულია მომავალი საიჯარო გადახდების დღევანდელი ღირებულების მიხედვით. შემდგომში, საიჯარო ვალდებულებები ასახულია ამორტიზირებული ღირებულებით.

3.13 ფინანსური აქტივების და ვალდებულებების ურთიერთგადაფარვა

კომპანია ფინანსურ აქტივებსა და ვალდებულებებს ურთიერთგადაფარავს მაშინ, როდესაც ურთიერთგადაფარვა იურიდიულად არ არის შეზღუდული და ჯგუფი გეგმავს ანგარიშწორებას ნეტო საფუძველზე ან ფინანსური აქტივის მიღებას და ვალდებულების დაფარვას გეგმავს ერთგვაროვნად.

3.14 საწესდებო კაპიტალი

კომპანიის საწესდებო კაპიტალი განისაზღვრება კომპანიის წესდებით. კომპანიის წესდების ცვლილება შესაძლებელია მხოლოდ დამფუძნებლების გადაწყვეტილების საფუძველზე. ავტორიზებული კაპიტალი აღიარდება როგორც საწესდებო კაპიტალი იმ მოცულობით, რა მოცულობითაც კაპიტალი შევსებულია დამფუძნებლების მიერ. საწესდებო კაპიტალი აღიარდება დამფუძნებლების შენატანების რეალური ღირებულებით.

3.15 დივიდენდები

დივიდენდების აღიარება ხდება მაშინ, როდესაც წარმოშობილია მათი გადახდის იურიდიული მოვალეობა. დივიდენდები აღიარდება როგორც ვალდებულება და შესაბამისი თანხით მცირდება კაპიტალი. ნებისმიერი დივიდენდი, რომელიც გამოცხადებულია საანგარიშო პერიოდის შემდეგ და ფინანსური ანგარიშგების გამოქვეყნებამდე ავტორიზაციამდე, წარმოდგენილია მომდევნო მოვლენების შენიშვნაში.

3.16 დასაქმებულ პირთა გასამრჯელოები

დაქირავებულ პირთა მოკლევადიანი გასამრჯელოები, რომელთა გადახდა მთლიანად ხდება იმ წლიური საანგარიშგებო პერიოდის დამთავრებიდან 12 თვეში, რომლის განმავლობაშიც დაქირავებული პირები გასწევნ შესაბამის მომსახურებას, მოიცავს:

(ა) ხელფასებს, ანაზღაურებებსა და პრემიებს;

(ბ) წლიურ ფასიან შვებულებებს და ბიულეტენის ანაზღაურებებს;

4 მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და დაშვებები

დაშვებები და მსჯელობები ეფუძნება ისტორიულ გამოცდილებას, ამასთან გაითვალისწინება სხვა ფაქტორებიც, როგორებიც არის მომავალი მოვლენების განვითარებასთან დაკავშირებული მოლოდინები, რომლებიც კონკრეტულ სიტუაციაში გონივრულად მიიჩნევა.

4.1 მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები

კომპანია შეფასებებს აკეთებს სამომავლო ფაქტორების გათვალისწინებით. მიღებული სააღრიცხვო შეფასებები, შესაძლოა განსხვავებული იყოს რეალურ შედეგისაგან. შეფასებები და დაშვებები,

რომლებიც შეიცავს მნიშვნელოვან რისკს სამომავლოდ აქტივების და ვალდებულებების საბალანსო ღერებულების კორექტირების საჭიროებისა, განხილულია ქვემოთ:

ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადები

ხელმძღვანელობამ შეაფასა ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადის ხანგრძლივობა. ხელმძღვანელობა დარწმუნებულია, რომ ეს შეფასებები მნიშვნელოვნად არ განსხვავდება ამ აქტივების ეკონომიკური მომსახურების ვადის ხანგრძლივობისგან. თუ რეალური სასარგებლო მომსახურების ვადა განსხვავდება ამ შეფასებებისგან, მაშინ ფინანსური ანგარიშგებები არსებითად განსხვავებული იქნება.

გრძელვადიანი არაფინანსური აქტივების გაუფასურება

კომპანია პერიოდულად აფასებს აქტივების საბალანსო ღირებულების ანაზღაურებადობას. როდესაც ფაქტები და გარემოებები მიუთითებენ აქტივების საბალანსო ღირებულების შესაძლო გაუფასურებაზე, ჯგუფი აფასებს ასეთი აქტივების ანაზღაურებად ღირებულებას. ანაზღაურებადი ღირებულების შეფასებისთვის ჯგუფი აკეთებს დაშვებებს მომავალ პერიოდებთან დაკავშირებით. მომავალ პერიოდთან დაკავშირებული განუსაზღვრელობებიდან გამომდინარე ფაქტიური შედეგი შესაძლებელია მნიშვნელოვნად განსხვავდებოდეს იმ შედეგისგან, რაც აღრიცხულია კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში

მარაგების წმინდა სარეალიზაციო ღირებულება

კომპანიის მენეჯმენტი აფასებს მარაგების წმინდა სარეალიზაციო ღირებულებებს, თითოეული საანგარიშგებო თარიღისთვის არსებული ყველაზე საიმედო მტკიცებულებების გათვალისწინებით. ამ მარაგების მომავალ რეალიზაციაზე შეიძლება გავლენა იქონიოს სამომავლო ტექნოლოგიურმა ცვლილებებმა, ან ბაზრის სხვა ცვლილებებმა, რამაც შეიძლება შეამციროს მომავალი სარეალიზაციო ფასები.

ფინანსური აქტივების გაუფასურება

კომპანია აფასებს ფინანსური აქტივებიდან ფულადი ნაკადების გადაუხდელობის ალბათობას. შემდეგ მოცემული ალბათობა მრავლდება მოსალოდნელ დანაკარგებზე, რომელიც გამოწვეულია ხელშეკრულების შეუსრულებლობის რისკიდან, რათა განისაზღვროს მოთხოვნების არსებობის მანძილზე მოსალოდნელი გაუფასურების დანაკარგი. მომავალ პერიოდთან დაკავშირებული განუსაზღვრელობებიდან გამომდინარე ფაქტიური შედეგი შესაძლებელია მნიშვნელოვნად განსხვავდებოდეს იმ შედეგისგან, რომელიც აღრიცხულია კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში.

დაკავშირებულ მხარეებთან განხორციელებული ტრანზაქციები

კომპანია შედის გარიგებებში მის დაკავშირებულ მხარეებთან. ფასს 9 მოითხოვს გარკვეული ფინანსური ინსტრუმენტების თავდაპირველ აღიარებას სამართლიანი ღირებულებით. კომპანია განიხილავს, არის თუ არა გამოყენებული საბაზრო ფასი ტრანზაქციის განხორციელებისას, სადაც არსებობს აქტიური ბაზარი ასეთი გარიგებებისთვის. ასეთი მსჯელობის საფუძველს წარმოადგენს მსგავსი გარიგებები არადაკავშირებულ მხარეებთან.

5 ძირითადი საშუალებები

პირვანდელი ღირებულება	მანქანა- დანადგარები	სატრანსპორტო საშუალებები	ოფისის აღჭურვილობა	კომპიუტერები და სხვა მოწყობილობა	სხვა ძირ. საშუალებები	დახლ- მაცივრები	იჯარით აღებული ქონების კეთილმოწყობა	სულ
საბალანსო ღირებულება 01/01/2023	8,236	740,203	102,282	67,780	6,914	1,179,132	-	2,104,547
დამატება	1,124	581,864	205,828	-	-	383,027	206,720	1,378,563
შემცირება	-	-	-	-	-	(6,100)	-	(6,100)
საბალანსო ღირებულება 31/12/2023	9,360	1,322,067	308,110	67,780	6,914	1,556,059	206,720	3,477,010
დამატება	-	-	145,639	-	-	447,990	-	593,629
შემცირება	(7,050)	-	(41,627)	(18,963)	-	(207,799)	-	(275,439)
საბალანსო ღირებულება 31/12/2024	2,310	1,322,067	412,122	48,817	6,914	1,796,249	206,720	3,795,200
დაგროვილი ცვეთა								
დაგროვილი ცვეთა 01/01/2023	6,775	262,616	40,913	56,984	1,935	313,542	-	682,765
ცვეთის ხარჯი	426	100,438	57,799	1,316	249	344,360	5,742	510,300
ჩამოწერა	-	-	-	-	-	(6,100)	-	(6,100)
დაგროვილი ცვეთა 31/12/2023	7,201	363,054	98,712	58,300	2,184	651,802	5,742	1,186,995
ცვეთის ხარჯი	225	237,339	105,973	1,031	237	422,881	34,453	802,138
ჩამოწერა	(7,050)	-	(37,685)	(18,568)	-	(154,204)	-	(217,507)
დაგროვილი ცვეთა 31/12/2024	376	600,393	167,000	40,763	2,421	920,478	40,195	1,771,626
საბალანსო ღირებულება 31/12/2023	2,159	959,013	209,398	9,480	4,730	904,257	200,978	2,290,015
საბალანსო ღირებულება 31/12/2024	1,934	721,674	245,122	8,054	4,494	875,771	166,525	2,023,574

ამორტიზაციის ხარჯები ასახულია მიწოდებისა და საოპერაციო ხარჯებში

ძირითადი საშუალებები არ არის დაგირავებული ვალდებულებების უზრუნველსაყოფად.

ცვეთის ხარჯი განაწილებულია შემდეგნაირად:

	2024 წლის 31 დეკემბერი	2023 წლის 31 დეკემბერი
ძირითადი საშუალებები	802,138	510,330
არამატერიალური აქტივები	2,898	3,093
აქტივი გამოყენების უფლებით	153,983	43,545
სულ	959,019	556,968

6 მარაგები

	2024 წლის 31 დეკემბერი	2023 წლის 31 დეკემბერი
საქონელი და ნედლეული	10,504,822	9,385,756
სხვა მარაგები	368,282	157,506
სულ	10,873,104	9,543,262

წლის განმავლობაში ხარჯად აღიარებული მარაგების ღირებულება შეადგენს 159,231,396 ლარს (2023: 161,657,753 ლარს).

კომპანიის ვალდებულებები არ არის მარაგებით უზრუნველყოფილი.

7 სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

	2024 წლის 31 დეკემბერი	2023 წლის 31 დეკემბერი
<i>ფინანსური აქტივები</i>		
სავაჭრო მოთხოვნები	48,186,324	33,484,591
მოთხოვნები პერსონალის მიმართ	2,100	3,852
ანარიცხი	(1,196,626)	(1,087,163)
	46,991,798	32,401,279
<i>არაფინანსური აქტივები</i>		
გადახდილი ავანსები	428,642	28,516
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	47,420,440	32,429,796

სავაჭრო მოთხოვნები ვალუტის მიხედვით იხილეთ შენიშვნა 16.1-ში.

მოთხოვნის ყველა თანხა არის მოკლევადიანი.

სავაჭრო მოთხოვნების წმინდა საბალანსო ღირებულება უახლოვდება მათ სამართლიან ღირებულებასთან. სავაჭრო მოთხოვნებს პროცენტი არ ერიცხება. სავაჭრო მოთხოვნების ანარიცხების წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	2024 წლის 31 დეკემბერი	2023 წლის 31 დეკემბერი
ანარიცხი 1 იანვრისთვის	(1,087,163)	(1,087,163)
ანარიცხი აღიარებული წლის მანძილზე	(109,463)	-
სავაჭრო მოთხოვნების ჩამოწერა	-	-
სავაჭრო მოთხოვნების აღდგენა	-	-

შპს ლაქტალის ჯორჯია
2024 წლის ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები
ქართულ ლარში

ანარიცხი 31 დეკემბრისთვის

(1,196,626)

(1,087,163)

8 ფული და ფულის ეკვივალენტები

	2024 წლის 31 დეკემბერი	2023 წლის 31 დეკემბერი
ფული ხელზე	2,698	8,143
ფული საბანკო ანგარიშებზე ეროვნულ ვალუტაში	22,313,506	19,809,984
ფული საბანკო ანგარიშებზე უცხოურ ვალუტაში	8,970,876	9,386,100
	31,287,080	29,204,227

ფული და ფულის ეკვივალენტები ვალუტის მიხედვით იხილეთ შენიშვნა 16.1-ში.

დივიდენდები

კომპანიამ მფლობელებზე გასცა 2,918,000 ლარის დივიდენდი

9 სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

	2024 წლის 31 დეკემბერი	2023 წლის 31 დეკემბერი
<i>ფინანსური ვალდებულებები</i>		
სავაჭრო ვალდებულებები	48,213,595	45,601,677
<i>არაფინანსური ვალდებულებები</i>		
გადასახდელი ხელფასები	886,628	594,419
საგადასახადო ვალდებულებები	1,224,136	1,362,292
სულ სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	50,324,359	47,558,388

სავაჭრო ვალდებულებები ვალუტის მიხედვით იხილეთ შენიშვნა 16.1-ში.

10 შემოსავლები

	2024	2023
რძის პროდუქტების გაყიდვიდან მიღებული შემოსავალი*	289,728,529	260,373,620
	289,728,529	260,373,620

შპს ლაქტალის ჯორჯია

2024 წლის ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

ქართულ ლარში

*რძის პროდუქტების გაყიდვიდან მიღებული შემოსავალი მოიცავს ისეთი პროდუქტების გაყიდვიდან მიღებულ შემოსავალს, როგორიცაა რძე, ყველი, კარაქი, იოგურტი და სხვა რძის პროდუქტები. კომპანია შემოსავალს დროის კონკრეტულ მომენტში აღიარებს.

	2024	2023
კარაქი	69,956,651	60,811,381
ყველი	68,207,982	58,633,375
რძემჟავა პროდუქტები	52,818,740	46,806,248
ნაღები	43,497,271	40,805,095
რძე	40,039,675	37,908,560
ხორცპროდუქტები	5,689,970	5,995,166
სპრედი	4,801,951	5,577,433
წვენები	2,617,308	1,789,185
სხვა პროდუქტები	2,098,981	2,047,177
	289,728,529	260,373,620

11 რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება

გაყიდული საქონლის ღირებულება, რომელიც წარმოადგენს გაყიდული პროდუქტების (რძე, ყველი, კარაქი, იოგურტი და სხვა რძის პროდუქტები) ღირებულებას.

	2024	2023
რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება	159,231,396	161,657,753
	159,231,396	161,657,753

	2024	2023
კარაქი	40,543,939	35,203,918
ყველი	35,681,559	36,227,883
რძემჟავა პროდუქტები	26,335,489	27,282,752
ნაღები	25,886,449	27,442,577
რძე	22,758,518	26,365,657
ხორცპროდუქტები	3,691,044	3,747,415
სპრედი	2,131,914	3,693,368
წვენები	1,476,297	1,019,730
სხვა პროდუქტები	726,187	674,453
	159,231,396	161,657,753

12 მიწოდების ხარჯი

	2024	2023
შრომის ანაზღაურება	9,783,926	8,201,866
იჯარის ხარჯი	21,000	38,693
საწვავის ხარჯი	991,838	843,631
ავტომობილის ექსპლუატაციის ხარჯები	34,685	42,766
ტრანსპორტირება და ლოგისტიკა	14,368,881	11,858,345
გაყიდვებისა და მარკეტინგის ხარჯი	11,931,753	9,846,493
ცვეთის და ამორტიზაციის ხარჯი	489,685	376,508
სხვა მიწოდების ხარჯი	1,504,346	1,732,833
კომერციული ხარჯი	59,291,699	44,519,408
	98,417,813	77,460,543

13 საოპერაციო ხარჯი

	2024	2023
შრომის ანაზღაურება	5,814,033	4,025,730
ბრენდი პრეზიდენტი როიალტი	3,355,187	2,894,803
საიჯარო ქირა	142,373	48,370
კომპიუტერის ხარჯი	323,270	11,261
კომუნიკაციის ხარჯი	37,136	42,266
საკანცელარიო ხარჯი	20,347	14,158
მივლინების ხარჯი	524,517	596,964
ცვეთის და ამორტიზაციის ხარჯი	469,334	180,460
საკონსულტაციო ხარჯი	1,427,377	640,071
წარმომადგენლობითი ხარჯი	168,597	433,756
საბანკო ხარჯი	5,768	5,399
სამეურნეო ხარჯი	163,348	137,664
სხვა საერთო ადმინისტრაციული ხარჯი	581,920	536,394
	13,033,207	9,523,751

14 არასაოპერაციო შემოსავალი

	2024	2023
არასაოპერაციო შემოსავალი	2,344,740	1,720,827
შემოსავალი ინვენტარიზაციის შედეგის მიხედვით	136,692	187,191

	2,481,432	1,908,018
--	-----------	-----------

15 არასაოპერაციო ხარჯი

	2024	2023
არასაოპერაციო ხარჯი	(818,335)	(676,170)
გასავალი ინვენტარიზაციის შედეგის მიხედვით	(1,770,570)	(2,132,876)
	(2,588,905)	(2,809,046)

16 ფინანსური ინსტრუმენტები

ფინანსური აქტივები და ვალდებულებები საბალანსო ღირებულებით კატეგორიების მიხედვით:

ფინანსური აქტივები

	2024 წლის 31 დეკემბერი	2023 წლის 31 დეკემბერი
ამორტიზირებული ღირებულება		
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	47,420,440	32,429,796
ფული და ფულის ეკვივალენტები	31,287,080	29,204,227
	78,707,520	61,634,023

ფინანსური ვალდებულებები

	2024 წლის 31 დეკემბერი	2023 წლის 31 დეკემბერი
ამორტიზირებული ღირებულება		
იჯარები	161,193	46,167
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	48,213,595	45,601,677
	48,374,788	45,647,844

17 ფინანსური რისკების მართვა

კომპანია ექვემდებარება სხვადასხვა რისკებს ფინანსურ ინსტრუმენტებთან დაკავშირებით. ძირითადი რისკების ტიპებია: საბაზრო, საკრედიტო და ლიკვიდურობის რისკი.

კომპანია არ არის ჩართული ფინანსური აქტივებით ვაჭრობაში სპეკულაციური მიზნებისათვის და არც ოფციონებს გასცემს. კომპანიის ყველაზე მნიშვნელოვანი ფინანსური რისკები აღწერილია ქვემოთ.

ფინანსური რისკის ფაქტორები

17.1 საბაზრო რისკი

კომპანია არ არის დაცული საბაზრო რისკისაგან ფინანსური ინსტრუმენტების გამოყენების გამო და კონკრეტულად სავალუტო, საპროცენტო განაკვეთისა და სხვა ფასთან დაკავშირებული რისკისაგან, რომელიც გამოწვეულია, როგორც საოპერაციო აგრეთვე, საფინანსო საქმიანობიდან.

უცხოური ვალუტის რისკი

კომპანია დენომინირებულ გარკვეულ ტრანზაქციებს ახორციელებს უცხოურ ვალუტაში. აქედან გამომდინარე, წარმოიშობა სავალუტო კურსის მერყეობასთან დაკავშირებული რისკი.

კომპანიის ტრანზაქციების უმეტესობა ლარში ხორციელდება. ვალუტის გაცვლითი კურსების ზემოქმედება წარმოიშობა კომპანიის საზღვარგარეთ შესყიდვებიდან, რომლებიც ძირითადად აშშ დოლარსა და ევროშია დენომინირებული. კომპანიას ასევე აქვს იჯარის ვალდებულებები აშშ დოლარში.

ქვედა ცხრილში მოცემულია კომპანიის უცხოურ ვალუტაში დენომინირებული ფინანსური აქტივები და ვალდებულებები, რომლებიც წარმოშობს უცხოური ვალუტის რისკს. თანხები წარმოდგენილია ათას ქართულ ლარში ეროვნული ბანკის მიერ წლის ბოლო დღისთვის დადგენილი ოფიციალური გაცვლითი კურსით.

2024 წლის 31 დეკემბერი

ფინანსური აქტივები

ფული და ფულის ეკვივალენტები

დოლარი

ევრო

784,754

8,186,122

784,754

8,186,122

ფინანსური ვალდებულებები

სავაჭრო ვალდებულებები

937,742

12,568,597

937,742

12,568,597

წმინდა პოზიცია

(152,988)

(4,382,475)

2023 წლის 31 დეკემბერი

ფინანსური აქტივები

ფული და ფულის ეკვივალენტები

USD

EUR

721,495

8,664,605

ფინანსური ვალდებულებები

სავაჭრო ვალდებულებები

721,981

7,434,445

წმინდა პოზიცია

(486)

1,230,161

ცხრილი ასახავს დოლარის მიმართ ლარის 15%-იანი (2023: 15%) კლება/მატების გავლენას კომპანიაზე ათას ქართულ ლარში. აღნიშნული 15% (2023: 15%) არის მმართველობის მიერ შეფასებული სავარაუდო ცვლილება ლარის, დოლარის და ევროს გაცვლით კურსებში. მგრძნობელობის ანალიზი მოიცავს მხოლოდ დომინანტ ვალუტას და ახდენს წლის ბოლოს მათ კორექტირებას 15%-იანი (2023: 15%) განაკვეთით.

ქართული ლარი რომ გამყარებულიყო დოლარსა და ევროსთან მიმართებაში 15%-ით (2023: 15%), მაშინ ამას ექნებოდა შემდეგნაირი გავლენა:

	დოლარის გავლენა		ევროს გავლენა	
	2024	2023	2024	2023
მოგება-ზარალი				
ლარის გამყარება	22,948	73	657,371	184,524
ლარის დევალვაცია	(22,948)	(73)	(657,371)	(184,524)

17.2 საკრედიტო რისკი

საკრედიტო რისკი ნიშნავს იმას, რომ კონტრაქტორი ვერ შეასრულებს კონტრაქტით ნაკისრ ვალდებულებებს, რის შედეგადაც კომპანია მიიღებს ფინანსურ ზარალს. კომპანიის საკრედიტო რისკი დანავშირებულია მის ფინანსურ აქტივებთან, მათ შორის საბანკო ანგარიშებზე განთავსებულ ფულად სახსრებთან და სავაჭრო და სხვა მოთხოვნებთან.

საბანკო ანგარიშებზე განთავსებულ ფულად სახსრებთან დაკავშირებული საკრედიტო რისკი უმნიშვნელოა, რადგან ფული განთავსებულია მხოლოდ მსხვილ, საიმედო ბანკებში.

კომპანიის შემოსავალი ძირითადად რძის პროდუქტების იმპორტსა და დისტრიბუციაზე მოდის, ტრანზაქციების ნაღდი ანგარიშსწორებით გაყიდვის დროს. კომპანია არ იყენებს მომხმარებელთა საკრედიტო რეიტინგისა და მონიტორინგის პოლიტიკას.

კომპანიას არ აქვს რაიმე უზრუნველყოფები დებიტორულ მოთხოვნებზე. კომპანია არ ფლობს გირაოს ან უზრუნველყოფებს, არც სხვა ფინანსურ აქტივებზე (მაგ. ფულადი სახსრები და ფულადი სახსრების ექვივალენტები ბანკებში).

სავაჭრო მოთხოვნები

მთლიანი სავაჭრო მოთხოვნების არსებობის მანძილზე მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის აღიარებისთვის, კომპანია იყენებს ფასს 9-ის გამარტივებულ მოდელს, ვინაიდან ეს მუხლები არ შეიცავენ მნიშვნელოვან ფინანსურ კომპონენტს.

მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის გაზომვისთვის, სავაჭრო მოთხოვნები შეფასდა საერთო მიდგომით, ვინაიდან მათ აქვთ საერთო საკრედიტო რისკის მახასიათებლები. მათი დაჯგუფება ხდება ხანდაზმულობის მიხედვით.

სავაჭრო მოთხოვნები ჩამოიწერება, როცა აღარ არსებობს მათი დაბრუნების გონივრული მოლოდინი.

ლიკვიდურობის რისკი

ლიკვიდურობის რისკი არის რისკი იმისა, რომ კომპანია ვერ შეძლებს დროულად დაფაროს ვადადამდგარი ვალდებულებები.

კომპანია ახორციელებს გონივრულ პოლიტიკას ლიკვიდურობის მართვასთან დაკავშირებით, რომელიც გულისხმობს საკმარისი რაოდენობის ფულის და მისი ეკვივალენტების ფლობას, აგრეთვე მაღალ ლიკვიდური აქტივების ფლობას, რათა კომპანიამ დროულად გადაიხადოს ყველა საოპერაციო და სასესო ვალდებულება.

შემდეგი ცხრილი დეტალურად ასახავს არაწარმოებული ფინანსური ვალდებულებების გადახდის პერიოდს. ცხრილი შედგენილ იქნა არადისკონტირებული ფინანსური ვალდებულებების არადისკონტირებული ფულადი ნაკადებით, დაფუძნებული უახლოეს თარიღზე, როდესაც შეიძლება კომპანიის მიმართ მოთხოვნილ იქნას აღნიშნული ვალდებულების გასტუმრება. ცხრილი შეიცავს ფინანსური ნაკადების, როგორც ძირს, ასევე პროცენტს და წარმოდგენილია ქართულ ლარში.

31 დეკემბერი 2024	საპროცენტო განაკვეთის არმქონე	ფინანსური იჯარის ვალდებულება	სულ
6 თვეზე ნაკლები	48,213,595	-	48,213,595
6 თვიდან 1 წლამდე	-	161,193	161,193
1-5 წლამდე	-	-	-
5 წელზე მეტი	-	-	-
	48,213,595	161,193	48,374,788
31 დეკემბერი 2023	საპროცენტო განაკვეთის არმქონე	ფინანსური იჯარის ვალდებულება	სულ
6 თვეზე ნაკლები	45,601,677	-	45,601,677
6 თვიდან 1 წლამდე	-	46,167	46,167
1-5 წლამდე	-	-	-
5 წელზე მეტი	-	-	-
	45,601,677	46,167	45,647,844

კომპანია ითვალისწინებს ფინანსური აქტივებიდან მოსალოდნელ ფულად ნაკადებს ლიკვიდურობის რისკის შეფასებისა და მართვის დროს, განსაკუთრებით მის ფულად რესურსებსა და სავაჭრო მოთხოვნებს. კომპანიის ფულადი რესურსები და სავაჭრო მოთხოვნები მნიშვნელოვნად აღემატება ფულადი სახსრების გადინების მიმდინარე მოთხოვნებს. ფულადი ნაკადები სავაჭრო და სხვა დებიტორული დავალიანებიდან ყველა ხელშეკრულებით სრულდება 12 თვის განმავლობაში.

18 კაპიტალის რისკის მართვა

კომპანია ისე მართავს კაპიტალს, რომ შეძლოს საქმიანობის გაგრძელება ფუნქციონირებადობის პრინციპით და დამფუძნებლები უზრუნველყოს ადექვატური უკუგებით.

კომპანიის კაპიტალის სტრუქტურა შედგება გამოშვებული კაპიტალისგან, რომელიც ეკუთვნის მშობელი კომპანიის მფლობელებს და აკუმულირებულ მოგებას.

კომპანია მართავს კაპიტალის სტრუქტურას და ახდენს მასში კორექტირებას ეკონომიკური პირობების ცვლილებებისა და ძირითადი აქტივების რისკის მახასიათებლების გათვალისწინებით. კაპიტალის სტრუქტურის შესანარჩუნებლად ან კორექტირებისთვის, კომპანიას შეუძლია შეცვალოს დამფუძნებლებისთვის გადახდილი დივიდენდების ოდენობა, დაუბრუნოს კაპიტალი ან გაყიდოს აქტივები ვალის შესამცირებლად.

18.1 გადასახადები

საქართველოში საგადასახადო სისტემა შედარებით ახალია და ხასიათდება ხშირი საკანონმდებლო ცვლადობებით, რომლებიც ხშირად ხდება ინტერპრეტაციების საგანი. ხშირად, განსხვავებული ინტერპრეტაციები არსებობს სხვადასხვა საგადასახადო ორგანოსა და იურისდიქციებში. გადასახადები საგადასახადო ორგანოების მხრიდან ექვემდებარება განხილვას და შემოწმებას, რომელიც წარმოშობს კანონით გათვალისწინებულ მძიმე ჯარიმებსა და საურავებს.

ზემოთ ხსენებული ფაქტის გამო წარმოიშობა საგადასახადო რისკი, რომელიც ახასიათებს განვითარებად ქვეყნებს. ხელმძღვანელობას სჯერა, რომ საგადასახადო მოთხოვნების შესაბამისად წარადგენს საგადასახადო ვალდებულებებს. თუმცა, შესაძლოა, რომ განსხვავებული განმარტების შემთხვევაში ეფექტი იქონიოს კომპანიის წარდგენაზე.

19 დაკავშირებული მხარეები

კომპანიის დაკავშირებულ მხარეებს წარმოადგენს დედა კომპანია და სხვა დაკავშირებული მხარეები. კომპანია დაკავშირებული მხარეებისგან ძირითადად იღებს საქონელსა და საკონსულტაციო მომსახურებას. ასევე საერთაშორისო ბრენდებზე იხდის როიალტის გადასახადს.

19.1 მაკონტროლებელი ურთიერთობები

კომპანია კონტროლდება BSA International, BE 0 443 205 173 /ბელგია/, 23.11.1990.მიერ, რომელიც წარმოადგენს კომპანიის 100%-ის მფლობელს.

19.2 ოპერაციები და ნაშთები დაკავშირებულ მხარეებთან

2024 წლის განმავლობაში კომპანიას ჰქონდა შემდეგი ოპერაციები და ნაშთები დაკავშირებულ მხარეებთან

შპს ლაქტალის ჯორჯია
2024 წლის ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები
ქართულ ლარში

ოპერაციები	2024	2023
დაკავშირებული მხარეები		
საქონლის შეძენა	195,878,069	191,659,534
მომსახურება	5,208,624	3,563,754
როიალტი	3,571,365	3,665,739
ნაშთები	As of 31 December 2024	As of 31 December 2023
დაკავშირებული მხარეები		
სავაჭრო ვალდებულებები	30,144,032	35,510,075

19.3 ოპერაციები მენეჯმენტთან

მენეჯმენტმა მიიღო შემდეგი ანაზღაურება წლის განმავლობაში, რომელიც ჩართულია ხელფასებსა და თანამშრომელთა სარგებელში

	2024	2023
ხელფასები და ბონუსები	1,922,956	1,454,797

20 საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები

არ მომხდარა რაიმე მნიშვნელოვანი შემდგომი მოვლენა, რომელიც მოითხოვდა წარმოდგენილ ციფრებში რაიმე კორექტირებას ან ამ ფინანსურ ანგარიშგებაში რაიმე დამატებით გამჟღავნებას.

მმართველობითი
ანგარიში 2024
შპს ლაქტალის ჯორჯია

სარჩევი

კომპანიის მიმოხილვა.....	2
ლაქტალის ჯგუფის მიმოხილვა	2
საწარმოს სამართლებრივი სტატუსი და დამფუძნებლები	3
კონკურენტების მიმოხილვა	3
ბრენდების მიმოხილვა	4
IT-ტექნოლოგიები საოპერაციო საქმიანობაში.....	5
რისკების მართვა.....	5
ძირითადი ფინანსური და არაფინანსური მაჩვენებლები	6
სტრატეგიული განვითარების გეგმა.....	8
მნიშვნელოვანი მოვლენები	8

კომპანიის მიმოხილვა

შპს „ლაქტალის ჯორჯია“, როგორც სადისტრიბუციო ორგანიზაცია, შეიქმნა და დაიწყო თავისი ბიზნეს საქმიანობა 2011 წელს მაისში. კომპანიის საქმიანობა მოიცავს პროდუქციის იმპორტსა და დისტრიბუციას საქართველოს ბაზარზე. დღეისთვის „ლაქტალის ჯორჯია“-ს აქვს შექმნილი საკუთარი სადისტრიბუციო ქსელი, სადაც პირდაპირი გაყიდვების გზით ხდება მზა პროდუქციის განაწილება მთელი საქართველოს მასშტაბით.

2016 წელს ლაქტალისმა საქართველოში შეიძინა კომპანია შპს „სანტე ჯი-ემ-თი პროდუქტების“ მართველობითი პაკეტი (ხოლო 2020 წლის მაისიდან გახდა 100% იანი წილის მფლობელი) რის შემდეგადაც საქართველოს ბაზარზე ლაქტალისი და სანტე ოპერირებენ როგორც პარტნიორი კომპანიები. სანტე როგორც მწარმოებელი ბრენდი, ხოლო ლაქტალის ჯორჯია როგორც კომერციული ერთეული პასუხისმგებელი პროდუქციის რეალიზაციაზე. ლაქტალის ჯორჯია დღესდღეობით რეალიზაციას უკეთებს როგორც ლოკალურ წარმოებას ასევე იმპორტირებულ ბრენდებს.

ლაქტალის ჯგუფის მიმოხილვა

„ლაქტალის ჯგუფის“ დაარსება დათარიღებულია 1933 წელს, როდესაც ანდრე ბენიემ შექმნა საკუთარი კომპანია, Societe Laitiere de Laval A.Besnier et Cie, ლავალში, საფრანგეთში.

„ლაქტალის ჯგუფი“ არის ლიდერი რძის პროდუქტების კატეგორიაში, რეიტინგით მესამე უდიდესი რძის შემგროვებელი და მსოფლიო ლიდერი ყველის ბაზარზე. „ლაქტალის ჯგუფი“ არის მეთხუთმეტე უდიდესი აგროსასურსათო ჯგუფი მსოფლიოში, ხოლო ევროპაში მესამე ადგილი უჭირავს.

„ლაქტალის ჯგუფი“ მოიცავს ტერიტორიებს მსოფლიოს მასშტაბით, კერძოდ ჩრდილოეთ და სამხრეთ ამერიკას, ევროპას, ახლო აღმოსავლეთს და აზიას. ლაქტალის ჯგუფს აქვს 270 მწარმოებელი ქარხანა და 51 კომერციული ოფისი საფრანგეთსა და სხვა დანარჩენ მსოფლიოს ქვეყნებში. ლაქტალის ჯგუფში დასაქმებულია 85000 მეტი ადამიანი, და ეს რიცხვები ყოველწლიურად იზრდება.

ლაქტალის ჯგუფი სპეციალიზირებულია შემდეგ კატეგორიებში:

- ყველი
- ნატურალური რძე
- შეციებული რძის პროდუქტები
- კარაქი და ნაღები
- საკვები (საბავშვო, სამკურნალო და სპორტული)
- კვების სერვისი
- რძის ინგრედიენტები
- გამოყვანილი ხორცი

საწარმოს სამართლებრივი სტატუსი და დამფუძნებლები

შემდეგ სქემაზე ასახულია შპს „ლაქტალის ჯორჯია“-ს სამართლებრივი ფორმის სტრუქტურა.



წესდებით განსაზღვრული კაპიტალი:

400 000 ევრო

საწარმოს მისია და საქმიანობის მიზანი:

„ლაქტალის ჯორჯიას“ სტრატეგიული მიზანია „ლაქტალის ჯგუფის“ პროდუქციის წილის გაზრდა საქართველოს ბაზარზე.

საქმიანობის სახეები, ძირითადი სამოქმედო ბაზრები და მისი კონკურენტები:

საქართველოს რძის პროდუქტების ბაზარს ძირითადად შეადგენს: სასმელი რძე, ყველი, იოგურტი, რძემჟავე პროდუქტები და სხვა რძის ნაწარმი, მათ შორის ხაჭო, არაჟანი, მაწონი.

კონკურენტების მიმოხილვა

ძირითადი მოთამაშეები საქართველოს რძის ბაზარზე დღეს არიან სოფლის ნობათი ლოკალური ბრენდებიდან, ხოლო იმპორტირებული VALIO, Danone.

ლაქტალისის ბრენდებისთვის მთავარ კონკურენტებად საქართველოს ბაზარზე მოიაზრებიან: კარაქისა და მდნარი ყველის კატეგორიაში ვალიო, ხოლო სხვა კატეგორიებში როგორიცაა ხაჭო, არაჟანი კონკურენციას 2018 წლიდან გვიწევს დანონი ბრენდი პროსტაკვაშინოთი, ამას გარდა ბოლო წლებში განვითარება დაიწყო ქსელების მხრიდან იმპორტირებულმა ბრენდებმა- როგორიცაა მევეალი (ნიკორა), მილა (ფუდმარტი). იმპორტის განვითარება თითოეული ქსელის მხრიდან ახალი სტრატეგიაა, რომელსაც ქსელების უმეტესობა უკვე აქტიურად ავითარებს.

ლოკალური ბრენდების ჭრილში სადაც მთავარი ბრენდი ლაქტალის ჯორჯიასთვის არის სანტე, ძირითად კონკურენციას გვიწევს სოფლის ნობათი, რომლის ძირითადი ასორტიმენტი არის ლოკალური წარმოების და გარდა ამისა ახდენს პროდუქციის იმპორტს რუსეთიდან და აზერბაიჯანიდან.

ბრენდების მიმოხილვა

ლაქტალის ჯგუფს ეკუთვნის არაერთი ცნობილი ბრენდი მსოფლიოში, როგორიცაა პრეზიდენტი, გალბანი, პარმალატი და ა.შ. კომპანიის გლობალურ პორტფოლიოში პრეზიდენტის ბრენდი უმნიშვნელოვანესი ბრენდია.

President-ი არის ფრანგული წარმოშობის საერთაშორისო ბრენდი რომელსაც უჭირავს უმაღლესი ხარისხის ღირებულება. President-ის ასორტიმენტი უმეტესად მოიცავს რძის პროდუქტებს, მათ შორის: ყველს, ნაღებს, კარაქს.

ბრენდი President-ის რეალიზაცია დღეს 150 ზე მეტ ქვეყანაში ხდება, რომლის ექსპორტი ხორციელდება როგორც საფრაგნეთიდან, ასევე განვითარებულია ადგილობრივი წარმოებებიც.

საერთაშორისო ცნობილი ბრენდები, რომელთა რეალიზაციაც ხდება საქართველოში:

- Galbani არის ძალიან ცნობილი იტალიური ბრენდი ევროპაში ახალი იტალიური ყველის სრული ასორტიმენტით, როგორიცაა მოცარელა, რიკოტა, მასკარპონე. იტალიის ბაზარზე ლიდერი Galbani-ს პროდუქტები მრავლად არის წარმოდგენილი ევროპაში, აგრეთვე იაპონიაში, კანადაში და ბევრ სხვა ქვეყანაში. საქართველოში ბრენდის სახელით ვახორციელებთ იტალიური ყველისა და ხორცის კატეგორიების დაფარვას.

- Parmalat - ლაქტალისი გახდა მსოფლიოში №.1 რძის ბაზარზე, მას შემდეგ რაც შეიძინა Parmalat-ის 83.3%, რძის პროდუქტების ლიდერი იტალიაში.

Parmalat - ის პროდუქტების კალათა შევსებულია ყველის, რძის, იოგურტის, არომატიზირებული კარაქის, მოხარშული კრემის, ნაღების და ხილის წვენებით. საქართველოში პარმალატის ბრენდი ძლიერია რძისა და ნაღების კატეგორიებში, რომელთა რიგებს 2024 წლიდან უკვე შეუერთდა ისეთი კატეგორიები როგორიცაა იოგურტები, პუდინგები, კეფირი.

- Leerdammer- ლაქტალისის ერთ-ერთი ბოლო შენამენი გლობალურად-ბრენდი ცნობილია ყველის კატეგორიაში ევროპაში. საქართველოს ბაზარზე შემოვიდა 2024 წლიდან. დღესდღეობით ლეერდამერი ერთადერთი ჰოლანდიური ბრენდია საქართველოში ზრდის პერსპექტივით.

- Santal - ბრენდი საქართველოში ვითარდება წვენებისა და მცენარეული რძეების ხაზით. ბრენდი ცნობილია ისეთ ქვეყნებში როგორიცაა იტალია, რუმინეთი, და ა.შ.

ლაქტალისის ჯგუფი საქართველოში რეალიზებას უკეთებს როგორც ლოკალურ ბრენდებს ასევე იმპორტირებულ ბრენდებს. ამჟამად საქართველოს ბაზარზე ოპერირებენ შემდეგი ბრენდები:

- ✓ სანტე (სანტე, სანტინო, სანტისიმო, ლოკო მოკო)
- ✓ President
- ✓ Parmalat
- ✓ Galbani
- ✓ Icim
- ✓ Santal
- ✓ Leerdammer
- ✓ Nesquick

2022 წლის მნიშვნელოვანი სიახლეებიდან გამოსარჩევია, ფოკუსი იტალიური ხორცის განვითარებაზე გაღბანის ბრენდის ქვეშ, 2022 წლიდან კომპანიის სტრატეგიაა გახდეს ნომერ პირველი იტალიური ხორცისა და ყველის ბრენდი საქართველოში, ამ გზას კომპანია 2023 წელშიც აგრძელებს.

2022 წელის გამოწვევებით იყო სავსე, კომპანიამ დაკარგა უკრაინიდან იმპორტირებული პროდუქციაცია როგორც მნიშვნელოვანი პორტფოლიოს ნაწილი, შედეგად პრეზიდენტის ბრენდი 2024 წლამდე აღარ იყო წარმოდგენილი ისეთ კატეგორიებში როგორიცაა არაჟანი და ხაჭო.

2023-2024 წლებში ლაქტალის ჯორჯიამ განაახლა ისეთი პროდუქტების რეალიზება, რომელიც 2022 წლის განმავლობაში აღარ ჰქონდა კომპანიას, უკრაინის იმპორტის შეწყვეტის შემდეგ. 2023 და 2024 წლებში აღდგა არაჟნის წარმოება საქართველოში, პარმალატის ქვეშ გამოვიდა რძე და იოგურტები რომელიც ასევე ლოკალურად იწარმოება.

2024 წლიდან კომპანიამ დაიწყო იმპორტირება მაღალცილიანი პროდუქტების პარმალატის ქვეშ რომლის იმპორტირებაც ხდება ხორვატიიდან.

IT-ტექნოლოგიები საოპერაციო საქმიანობაში

შპს „ლაქტალის ჯორჯია“ ბუღალტრული ინფორმაციის დასამუშავებლად იყენებს საბუღალტრო პროგრამას 1C 8.2 საწარმო.

რისკების მართვა

საკრედიტო რისკი. წარმოადგენს კომპანიის წინაშე არსებულ ერთ-ერთ მთავარ ფინანსურ რისკს, რომელიც დაკავშირებულია იმ შესაძლებლობასთან, რომ კლიენტები ან პარტნიორები ვერ შეასრულებენ თავიანთ ფინანსურ ვალდებულებებს სრულად ან განსაზღვრულ ვადებში.

კომპანიის საქმიანობის სპეციფიკიდან გამომდინარე, საკრედიტო რისკი ძირითადად გამომდინარეობს დებიტორული დავალიანებიდან და საკრედიტო ვადების მიცემის პრაქტიკიდან. აღნიშნული რისკი პირდაპირ გავლენას ახდენს კომპანიის ლიკვიდობასა და ოპერაციული ნაკადების სტაბილურობაზე.

ხელმძღვანელობას შემოშავებული აქვს საკრედიტო პოლიტიკა, რაც მოიცავს:

- ახალი კლიენტების გადახდისუნარიანობის შეფასების მკაცრ კრიტერიუმებს
- დაგვიანებული გადახდების მონიტორინგს და შესაბამის რეაგირებას
- რისკების დივერსიფიკაციას კლიენტთა პორტფელის, გეოგრაფიული და სექტორული მიხედვით.

გარდა ამისა, კომპანიის ფინანსური სამსახური იყენებს საკრედიტო რისკის მეტრიკებს, როგორიცაა:

- დავალიანება/შემოსავლის თანაფარდობა
- საშუალო გადახდის ვადა (Days Sales Outstanding)
- ვალის ხანდაზმულობის ანალიზი.

ამ ეტაპზე კომპანიის საერთო საკრედიტო რისკი ითვლება საშუალოდ კონტროლირებადად, თუმცა მაღალი ყურადღება ექცევა კონკრეტულ დებიტორულ პოზიციებს, რომელთა ხანგრძლივობა სცილდება დადგენილ საკრედიტო ვადებს.

საბაზრო რისკი. ფინანსური რისკის ტიპი, რომელიც დაკავშირებულია ფინანსური ინსტრუმენტების ფასების მერყეობასთან, მაგალითად: სავალუტო კურსების, საპროცენტო განაკვეთების, აქციების ფასების ან სასაქონლო ფასების ცვლილება. ეს რისკი გავლენას ახდენს კომპანიის, ბანკის ან ინვესტორის პორტფელზე.

სავალუტო რისკები. კომპანიას აქვს მაღალი სავალუტო რისკი, რადგან ძირითადი მომწოდებლები არარეზიდენტებია და ანგარიშსწორება ხდება ევროში ან აშშ დოლარში. ყოველთვიურად ეროვნული ვალუტის ცვლილების გამო კომპანიას აქვს ზარალი გადაფასების გამო.

	2022	2023	2024
EUR			
აქტივები	2,838,118	2,912,179	2,793,326
ვალდებულებები	3,220,039	2,498,721	4,288,352
	381,921	(413,458)	1,495,025


USD			
აქტივები	303,575	268,273	279,590
ვალდებულებები	330,701	268,454	333,985
	27,126	181	54,394

კურსთა შორის სხვაობიდან მოგება/(ზარალი)	381,903	(143,869)	(8,739)
---	---------	-----------	---------

გეოპოლიტიკური რისკი. კომპანიის აქტივები მდებარეობს საქართველოში, რომელიც წარმოადგენს განვითარებად ბაზარს. ამგვარად, კომპანიაზე ზემოქმედებას ახდენს საქართველოში არსებული ბიზნეს გარემოს გაუარესების რისკები. მისი საქმიანობა ასევე, დამოკიდებულია რეგიონის ქვეყნებს შორის ურთიერთობებზე ნებისმიერმა მოვლენამ, რომელიც გავლენას მოახდენს პროდუქციის თვითღირებულებაზე, შეიძლება საფრთხე შეუქმნას კომპანიას ჩვეულ საქმიანობაში.

ძირითადი ფინანსური და არაფინანსური მაჩვენებლები

ამონაგების მაჩვენებელი და დინამიკა ბოლო 3 წლის განმავლობაში:



კომპანიას 2022-24 წლების განმავლობაში ჰქონდა ამონაგების დადებითი ტრენდი, რაც ნაწილობრივ ხმარდება რეალიზაციის ზრდის შესაბამის საბრუნავი კაპიტალის დაფინანსებას.

'000 ლარი	2022	2023	2024
ბიუჯეტთან ანგარიშსწორება	14,973	18,505	24,667

ასევე, კომპანიამ შეიტანა წვილილი საქართველოს ეკონომიკის ზრდაში რაც ბიუჯეტში გადახდილი თანხების ზრდის დინამიკაშიც ნათლად ჩანს.

ფინანსური კოეფიციენტები		2023	2024
მომგებიანობა	აქტივების უკუგება ROA	12.2%	19.9%
	კაპიტალის უკუგება ROE	34.6%	44.3%
	წმინდა მოგების მარჟა	3.4%	6.3%
ლიკვიდურობა	მიმდინარე	1.5	1.8
	სწრაფი	1.3	1.6
ეფექტურობა	აქტივების ბრუნვა	3.7	3.5
გადახდის უნარიანობა	ვალი/კაპიტალი	1.8	1.2
	ვალის კოეფიციენტი	0.6	0.6

ფინანსური კოეფიციენტების ანალიზის საფუძველზე შეგვიძლია დავასკვნათ რომ კომპანიას აქვს დადებითი ტენდენცია, 2024 წელში თითქმის 8%-ით არის გაზრდილი აქტივების უკუგება 2023 წელთან შედარებით, ასევე გაუმჯობესებულია კაპიტალის უკუგება მიახლოებით 10%-ით. ამასთანავე, გაუმჯობესებულია ლიკვიდურობის მაჩვენებლები და გაუმჯობესებულია გადახდის უნარიანობა წინა საანგარიშგებო წელთან შედარებით.

მაჩვენებელი (დღე)	2023	2024	შეფასება
Days sales outstanding (DSO)	45.4	59.2	გაიზარდა თანამედროვე ქსელური მარკეტების წილი მთლიან გაყიდვებში, რომელსაც აქვს შედარებით გრძელვადიანი გადახდის პირობები
Days inventories outstanding (DIO)	21.5	24.9	გაიზარდა მარაგები, რომელიც ძირითადად გაზრდილი რეალიზაციის საფუძველზე მოხდა
Days payables outstanding (DPO)	103.0	110.5	მარაგების ზრდის შესაბამისად გაიზარდა კრედიტორული დავალიანება

ინფორმაცია დივიდენდის გაცემასთან მიღებული გადაწყვეტილების შესახებ

'000 ლარი	2022	2023	2024
დივიდენდი	9,185	2,918	3,000

საკადრო პოლიტიკის ძირითადი მომენტები და თანამშრომლებზე ზრუნვა/წახალისების პოლიტიკა, დაწესებული სოციალური შეღავათები:

გარდა ხელფასისა შპს „ლაქტალის ჯორჯია“-ს თანამშრომლები სარგებლობენ შემდეგი ბენეფიტებით: დაზღვევა, პროფესიონალური ტრეინინგების დაფინანსება ერთხელ წელიწადში კვალიფიკაციის ასამაღლებლად, სატელეფონო სასაუბრო ლიმიტი.

თანამშრომელთა რაოდენობისა და სახელფასო ფონდის დინამიკა

	2022	2023	2024
თანამშრომელთა რაოდენობა	165	181	190
სახელფასო ფონდი ('000 ლარი)	7,331	7,537	11,681

საწარმოს მომწოდებლების შესახებ:

კომპანიის ძირითადი მომწოდებლები ჯგუფის ქარხნებია - საფრანგეთში, იტალიაში, თურქეთში და ა.შ.

საწარმოს მომხმარებლების შესახებ:

კომპანია მუშაობს პირდაპირი გაყიდვების გზით, აქედან გამომდინარე კლიენტების სიაში შედის მაღაზიები, სასტუმროები, ბარები, რესტორნები, საბითუმო გამყიდველები მთელ საქართველოს ტერიტორიაზე.

სტრატეგიული განვითარების გეგმა

„ლაქტალის ჯორჯიას“ სამომავლო განვითარებისათვის დაგეგმილია გლობალურად წარმოებული პროდუქტების წილის ზრდა ქართულ ბაზარზე. ასევე ახალი კატეგორიების გახსნა, ათვისება და მათი განვითარება.

მნიშვნელოვანი მოვლენები

2022 წელში მნიშვნელოვანი გამოწვევების წინაშე დადგა კომპანია. უკრაინიდან იმპორტირებული სრული ასორტიმენტი, რომელთა შორის იყო არაჟანი, ხაჭო, ყველი და ა.შ. გაქრა ბაზრიდან.

2023 და 2024 წლები გამორჩეული იყო კომპანიისთვის ინოვაციების ჭრილში, ამ წელს საშუალება მოგვეცა აგვეთვისებინა სრულიად ახალი ბაზრები, როგორცაა მაღალ პროტეინიანი და ვიტამინებით გამდიდრებული პროდუქტები. ამას გარდა განახლდა ლოკალურად წარმოება ისეთი პროდუქტების როგორიცაა პრეზიდენტის არაჟანი.

ანგარიშების მომზადებასა და წარდგენაზე პასუხისმგებელი პირები:

დირექტორი:

ერეკლე გამყრელიძე

ფინანსური დირექტორი:

ქეთევან ნადირაძე

2025 წლის 11 აგვისტო

თბილისი, საქართველო

2023 და 2024 წლები გამორჩეული იყო კომპანიისთვის ინოვაციების ჭრილში, ამ წელს საშუალება მოგვეცა აგვეთვისებინა სრულიად ახალი ბაზრები, როგორცაა მაღალ პროტეინიანი და ვიტამინებით გამდიდრებული პროდუქტები. ამას გარდა განახლდა ლოკალურად წარმოება ისეთი პროდუქტების როგორიცაა პრეზიდენტის არაჟანი.

ანგარიშგების მომზადებასა და წარდგენაზე პასუხისმგებელი პირები:

დირექტორი:

ერეკლე გამყრელიძე

ფინანსური დირექტორი:

ქეთევან ნადირაძე



2025 წლის 11 აგვისტო

თბილისი, საქართველო

